1898 სეკტემბერი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ორი პასუხი ლექსი—დუტუ-მეგრელისა 3
II გუგული ამბავი—თ. რაზიკაშვილისა 4
III ვაშლების ქვეყანა (თარგმანი)—ეკ. გაბაშვილისა 12
IV მოწყენილი ჩიტი ლექსი—შ. მდივანელისა 24
V „კალიის“ შურის ძიება. (თარგმანი)—ს. წ—სა 28
VI ვახტანგ მეფე და ორი გოლიათი ისტ. ამბავი—გ. წულ-ტუბელისა 29
VII პი-ეტყვთა ჭკუა-გონება (თარგმანი) თეოფ. კანდელაკისა . 34
VIII ფიზიოლოგიური წერილები (წერილი VII)—იკ. გომართელისა. 42
IX უგუნური ბუებიც გრძნობენ ჩემს უსამართლობას!—ბელ-ბაკიაშვილისა 46
X საკვირველებანი ბუნებისა № 18—ლადო ადნიაშვილისა . . 49
XI სამეცნიერო გასართობი № 8—ბორასი 52
XII ურჩი მიუშვი ნებასა—თეოფ. კანდელაკისა 55
XIII მეცხვარე და მგელი (იგავი)—ალ. მირიანაშვილისა. . . . 56
XIV ყვავი და ბულბული, ჩეხური იგავი 56
XV წერილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანა, სახუ-მარო, შარადა, რებუსი და სხვა 57

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.



ნაკადული

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გაბდი ყანაო!..
ი. ჯ.

№ IX

წელიწადი მეცხრე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ტფილისი
სტამბა მ. ჯ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.
1898.

Дозволено цензурою Тифлисъ, 29-го Августа 1898 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი პასუხი.

აჟკაცი ომში წავიდა,
ცოლშვილი მარტო დაჭყარა...
„დედილო მამა, სად არის?“
ხშირათ კითხულობს ბატარა.

—„ლაშქარში, შვილო, ლაშქარში,
მტერს ებრძვის ერთათ სხვებთანა,
რომ აკლებისგან დაიხსნას
ძვირფასი ჩვენი ქვეყანა!“

—„ხომ მალე მოვა?—„ვინ იცის!...
როგორც გადაწყვეტს განგება.
ებებ სულ ვერც-კი... და საწყალს
თვალებზე ცრემლი ადგება.

ვაჟკაცი მამულს ემსხვერპლა,
ცოლშვილი ობლათ დაჭყარა...
„დედილო, მამა სად არის?“
ისევ კითხულობს ბატარა.

—„ზეცაში, შვილო, ზეცაში,
ღმერთს შესთხოვს ერთათ სხვებთანა,
რომ ტანჯვას გადაარჩინოს
ძვირფასი ჩვენი ქვეყანა!“

„ხომ მალე მოვა?“—„სულაც ვერ...
ის იქ იქნება მარადა!...
და საბრალოსა თვალთაგან
ცრემლი ჩამოსდის ღვარადა.

დუტუ-მეგრელი.



გუგული.

ზიბათვის დღე იყო. გაჭირვეულებული გუგული თავის „გუგუს“ გაიძახოდა. ბუდარობის დრო მოსვლოდა და არ იცოდა ჯერ კიდევ არავისი ბუდე, რომ კვერცხი ჩაედვა და გამოეჩიკა. ხმელწვერებიან წიფელზე მჯდომი დაშტერებით მისჩერებოდა ტოტქვეშ გამოხვრეტილ სათვალეს, საიდანაც რაღაც ხმაურობა ისმოდა.

— კუკუუუ! აჭიანურებდა გუგული, თითქო ვისიმე გაჯავრება უნდაო; თან ჭრელ ბოლოს ხან ასწევ-დასწევდა, ხან ჯარასავით ატრიალებდა.

გუგულის ხერხმა გასჭრა: ნახვრეტიდან ერთი ჭრელი კოდალა გამოძვრა და გააფთრებულმა შემოუტია გუგულს.

—კუკუც შენ გინდა და ჰანლურიც, შე უმსგავსო შენა! რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგემართა, რა ღმერთი გაგიწყრა, დღეს-დილანდელა აღარ მომასვენე. ვითომ კუკუც ვინდა ამომკრა ჩემი ბუდიდანა, ჰა?! მანამდე ნურა ჭამე-რა შენა, შე საკვნესო შენა!

— ქა, გაგონილა! ქრისტიანებო, ჩემი ბუდიდან უნდა მე გამომაგდოს და თითონ შიგ მოიკალათოს. ჰი თუ თბილათ ჩაჯდები და წყალი არ ჩამოგივა. არჩევა კი იცი! შენთვის არ ვეწვალეთ მე და ჩემი ქმარი მთელ ერთ თვეს., სანამ ამ საბუდარს გამოვსვრეტდით. მაშინდელი დანთქრეული ტვინი ჯერაც არ დამდგომია ადგილასა, ლამის შაკიკის ქარათ გადამექცეს.

— არა, მე რომ კუკუ უნდა ამომკრა, შენ უფრო კუკუ ამოკრული არ დადიხარ? სახლი შენთვის არსადა ჩანს და კარი, შვილი და ბოლო. გაიგეთ, ქალო, რა ზნისა ბძანდება ეს ქალბატონი? — თვითონ ხო არცკი კადრულობს ბუდის აშენებას, რო მერე შიგ ბარტყები დაზარდოს; აბა თავს რათ შეიწუხებს ბუდეში ჩაიწყალოს თვალი და გული. აბა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მაგან „კუკუ' ვეღარ იმახოს და ეურები აღარ გამოუჭედოს გამვლელ-გამომვლელს თავის ებედობითა. ის არ ურჩევნია, ეკრე იწოწიალოს და სხვის ბუდეებიდან კვერცხები იპაროს. ცხარობდა კოდალა.

— მართლა! ქურდიც არის ეგ ქალბატონი? შეეკითხა ჩხიკვი, რომელიც აქამდე წიფლის შიმელაზე [1]) იჯდა

[1]) შიმელა—ასალი მოზარდი ხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მუშტრის თვალით იცქირებოდა აქეთ-იქით. აბა, ქალო, მაგისი ამბავი გეცოდინება რამე, ჩვენც გვიამბე.

— ამავე აზრისა აღმოჩნდა ტილიანი მერაც, რომელიც აქვე არეზე იჯდა და სითბოზე იქექებოდა.

— უკაცრავათ ნუ ვიქნები, ცოტა მკბენარი დამესვია, უნდა გავიქექო, თქვა მერამ, ერთი გვიამბე მა გუგულისა რამე, ვიცი, არც ჩხიკვი მოცდება, ჯერ ყოლა [2])—მაუვალი არ დამწიფებულა და არც ბალამწარა.[3])

სანამ ესენი ამ ბაასში იყვენ, გუგულმა შეათვალიერა კოდალას საბუდარი და ხითხითით მოცხრილა ტეისკენ. კაი ხანი ისმოდა იმისი სიცილი.

—თქვენ როცა მანდედან გამეცლებით, მე თვითონ ვიცი მაშინ, რასაც ვიზამ; თუ ჩემს შვილს შენ არ გაგაზდევინებ, რაღა ქალი ვიქნები! ფიქრობდა გულში გუგული.— ხომ არა გნებავს საძიბაო მოგართვა?

*
* *

— ქა, კიდეც რო დაგვცინის ეგ სასიკვდილე!-თქვა გულმოსულმა კოდალამ.—მოსულა აქ სისხამ დილაზე და მითვალთვალებს, უნდა გამიტეუილოს; მერე მოვიდეს და ჩემს კვერცხებში თავის კვერცხიც ჩაურიოს. ეგ ხო თავისდღეში ბუდეს არ იკეთებს, სულ სხვას აზრდევინებს თა-

---

2) ყოლი — малина.

3) ბალამწარა—გარეული ტეის ბალია, შავათ მწიფდება, გემო მწარე აქვს.

ვის ბარტყებს. არა, რა საამურია, შენიჭირიმე, ვიდაც ოსრის შვილების დაზრდა, როცა ჩემიც გამჭირებია. შარშან არ იყო ემანდ იელიანში.[4]) შაშვისთვის რა საქმე ექნა,—შაშვის კვერცხები დაეჭამა და თავისი შიგ ჩაედვა. შაშვსაც ვერა გაეგო-რა, სანამ არ გამოეჩიკა და არ წამოზრდილიყვენ, ის ჰატარა არ დასაზრდელები. თურმე უზიდავს და უზიდავს საჭმელს, მაგრამ იმ ღორმუცლებს რა დაბძღობდათ. საწყალი შაშვი თითონაც კინაღამ შეეჭამათ, თურმე სულ ჭკბენდენ და ჭგლეჯდენ, როცა საჭმელი არა ჭეოფნიდათ. რო ვეღარა გაუწყორა, ადგა და იქიდან გადიხვეწა. საწყალი, მე ვნახე, სული ხელთ ეჭირა სიგამხდრითა. უბედობდა კოდალა.

— ჭეე, კაი ეშმაკი ეოფილა, თქვა მერამ,—თვალით არა ჩანს-რა და მოხერხება კი დიდი ჭქონია; ერთი დმერთმა �აბრიყოს და ჩემ ბუდეში ჩადოს კვერცხები, ჭნასავს, როგორ გამოვუჩეკავ, სულ ნაჭუჭებიანათ შევსვლიჰავ.

— დიახ, შენისთანა თავდასიებულს ის კვერცხს არ ჩაუდებს. ლამის შენ შენი კვერცხებიც დაჭამო, თორემ სხვისას რას გაუშვებ, გამოეხმაურა ჩხიკვი.—ამასთან იმისი კვერცხები შენ კვერცხებზე ჰატარაებია და შენი კვერცხები სულ დალეწენ, შენც რო არ დაუჭამო; ისიც იმიტომ თავის ტოლ-ფრინველებს ეტანება, რო კიდევაც იმისმა კვერცხებმა სხვისა დაამტვრიოს.

---

[4]) იელიანი—იელის ტყე, წიფლიანი—წიფლნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ის კი მართალია, ჩხიკვო, შეეკითხა ძერა, — ვითომ საზრდოთ გუგულისთვის ღმერთს დღეში ერთი ჩიტი მიუცია; მე ჩემი თვალით მინახავს, ჩიტი რო დასდევნებია გუგულსა.

— ეგ ტეუილია, მარა ის კი მეც მინახავს, რო მართლა ხშირათ დასდევს ხოლმე რომელიმე ჩიტი გუგულს. ეს იმიტომ, რომ გუგული კვერცხებსა ჭვარავს და რაკი მოასწრებს, ჩიტი ქურდს ბუდეში გამოეკიდება, მაგრამ რას გამორჩება!

— უველა, უველა და მე გამიგონია, ძერავ, შენი და ჯორის ამბავი, არ ვიცი მართალია, თუ ტეუილი, ვითომ შენა და ჯორს სანამლეო დაგედოთ, თუ რომელი გამლებს უწელოთ და რომელი უშვილოთაო. ჯორს უწელობა ვერ დაუთმია და უშვილობა ურჩევია, შენ წელის უსმელობა დაგითმია და შვილოსნობა არა, იტუვიან, ჯორს იმიტომ არ ემლევა შვილიო და ძერა რო ჭაერში გაჩერდება ხოლმე, წეალი წეურიან, ვერ დაულევია და ქარსა ჭელაპავს; თანა წიგის და ჯორს აგონებს, აღთქმა არ კასტესოვო. [1])

— მართალია, ძერავ, მართლა არა სვამ წეალსა?

— ტეუილია, უწელოთ რომელი სულდგმული გასძლებს, მე რო ჭაერში ვჩერდები, ძირს გვეკ-სვლიკებს ვათვალი-

[1]) ეს ლეგენდა ფშავშია გავრცელებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერებ, თქვა ძერამ, — მერე დავეცემი და წავიღებ. ჩემი საზრდო ისინია.

მშვიდობით იყავით, დამიგვიანდა, მეც ბუდეს უნდა მივხედო, თქვა ძერამ და შეუარა წიფლიან გორას, საითაც იმისი ბუდე იყო. ჩხიკვიც გაძვრა სადღაც.

* * *

როგორც კი კოდალა გაიგულა სხვაგან, გუგული მაშინვე იმის ბუდესთან დაერჯო; ჯერ შეძრომა სცადა, მაგრამ ვერ შეეტია; გამოძვრა ისევ და დაფიქრდა, რა უნდა მოეგვარებინა, როგორ უნდა ჩაედვა შიგ კვერცხი. დიდხანს არ მოუნდა ფიქრს, მაშინვე ბალახებში ჩაჯდა დ კვერცხი იქ დადო. მერე ნისკარტით აიღო და კოდალას ბუდეში ჩააგორა. ერთი გულიანათ გაიხითხითა და მოცხრილა ტეისკენ.

— ფრთხილო ქალბატონო, ვნახოთ, შენც როგორ გაგაზდევინო ჩემი შვილი, ძალიან რო თავს იდებდი, ფიქრობდა გუგული.

კოდალამ ვერა გაიგორა, თუ გუგულმა კვერცხი ჩაუდვა, რადგან გუგულის კვერცხი თითქმის არ ერჩეოდა იმის კვერცხებიდან.

სანამ ქორფა იყო ბატარა გუგული, ისიც სხვებსავით უვითელ ნისკარტს უღებდა ხოლმე კოდალას საჭმლისთვის, მაგრამ როცა მოიზარდა და კისერი დაუგრძელდა, მაშინ კი შეეცილა თავის ამხანაგებს საზრდოს, სულ თითონ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწეო ჯამა, ბატარა კოდალები კი შიმშილით იხოცებოდენ.

რის ვაი-ვაგლახით დაზარდა კოდალამ ბარტყები, გაიზარდა გუგულიც, ისეთი ამაეი და ავი რამ იყო, რომ საცოდავ კოდალას დააფრინდებოდა ხოლმე საკბენლათ, როცა საჯმელს დაუგვიანებდა. კოდალაც ითმენდა ყველაფერს და ერთხელაც არ მოსვლია აზრათ თუ გუგულს თავი დავანებოვო.

***

გაიწურა ზაფხული, დაფთიანებული კოდალები ბუდიდან ამოსხა დედამ და სიხარულით ტყეს მოედვენ. შეუდგა ერთი ჟივილ-ხივილი ტყის მცხოვრებელთ; შეეხიზნენ ტყეს, თავის მასაზრდოებელს; შემოქმედს მადლი შესწირეს და ბუდეს მოშორებულებმა იწყეს ახალი თავისუფალი ცხოვრება.

გუგული?—ის ისე გაიზარდა, ისე დასქელდა, რომ ბევრიც რო ნდომებოდა სათვალიდან ვეღარ გამოძვრებოდა. ბევრჯელა სცადა გამოძრომა, ჭეოფდა ხოლმე თავს გარეთ, მაგრამ სულ ტეუილათ. კოდალა მაინც თავს არ ანებებდა, უზიდავდა კიდევ საჯმელს და შიმშილით არა ჭკლავდა. როცა მოშიოდა ხოლმე საცოდავ გუგულს საცოდავათ ჩხაოდა. ამ დროს ყველა ფრინველი თავისუფლებით ტკბებოდა, ყველა თავის ნებაზე დაფრინავდა. შორ დან ხან-და-ხან ისმოდა, ათასში ერთხელ, გუგულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კუკუ“; ეს ხმა გულამდე სწვდებოდა საცოდავ დამწუვდეულ გუგულს; გრძნობდა, რომ ის ხმა იყო იმისი სამშობლოს დედა-ენა; ესმოდა და შურით გული უკვდებოდა, რადგან თითონ მოკლებული იყო იმ სიამოვნებას. თითონ კოდალასავით უნდა ეჩხიკვინა, რომ იმისთვის გაეგონებინა და საზრდოს მოტანა ეთხოვნა.

გავიდა ზაფხულიც. მარიამობისთვის გასულს თან მოჰყვა წვიმა და სიცივე. აქა-იქ ქარს ევითელი ფოთლები მოჰქონდა. ფრინველნი გასაფრენათ ემზადებოდენ. რიგი მიდიოდა, რიგი წასულიყო, რიგი ახლა ემზადებოდა. გუგულები რა ხანია წავიდენ. მერცხლებიც იმათ გაჰყვენ. ჰაერს თან-და-თან სიჩუმე შეეპარა. კოდალებსაც ადგილის ცვლა მოუნდათ. მთიანი ადგილებიდან ბარისკენ გაიწიეს. ჩვენი გუგულის დედობილი კოდალაც სხვებთან ერთათ ბარისკენ წავიდა. გუგული დარჩა ხის ღრუვში გამომწყვდეული. ნადირობიდან მოვდიოდი და ერთი გულ-საკლავი ჭეიკილი შემომესმა. შევხედე, გამოეყო სათვალიდან გუგულს თავი და საზარელი ხმით გაჩხაოდა ტუეს, მაგრამ ვის გააგონებდა; მშობელმა ღვიძლმა დედამ იმავთავიდანვე არ გაუწია დედობა. დროებით — დედამ — კოდალამაც დაანება თავი. მინდოდა როგორმე მეშველა, გამომეყვანა, მაგრამ ისე მაღლა იყო ხეზე, რომ ვერასგზით ვერ მიეკარებოდი.

თ. რაზიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშლეგის ქვეყანაში.

(თ ა რ გ მ ა ნ ი)

ს ანბავი მოხდა მწვანე მინდერებით აჭრელებულ სამხრეთ ლეკონშირში.

დჟემა სრულიად ძალ მიხდილი დაღალულობით, დიეცა მწვანე, ბალახზე და უთხრა თავის პაპას:

— დავისვენოთ, პაპაჯან და ცოტაოდენ დავნაყრდეთ კიდეც.

მოხუცებულმა პაპამ უპასუხა:

— ჩემო საყვარელო! მეც დიდის სიამოვნებით დავნაყრდებოდი, მაგრამ საუბედუროთ ლუკმაც ალარსად გაგვაჩნია, ჩვენი ხურჯინი სრულებით ცალიერია...

დჟემა გულდალმა გაეკრა მიწას, მწუხარებით ამოიოხრა და მალალ ბალახში წაჰყო თავს გრძელი ხუჭუჭი თმით შემკული თავი. იგი ცამეტი წლისა იყო და ამასთან ისეთი მშვენიერი, რომ მოხუცი პაპას გული სევდით აევსო, როდესაც წარმოიდგინა, რომ თავის სიკვდილს შემდეგ ეს ტურფა უნდა დარჩენილიყო უპატრონოთ, უბინაოთ უცხო ქვეყანაში. რა პატრონობას გაუწევდა დჟემას თავის პატარა ძმა ბინდო, რომელიც ჯერ მარტო ათის წლისა იყო.

დჟემა მართლა ძრიელ ლამაზი იყო; ეს იყო მაღალი, ყარყარა და კეკლუცი; სახე ძრიელ გამომეტყველი ჰქონდა, თუმცა მხოლოდ ცამეტი წლისა იყო, მაგრამ შეეძლო ლუკმის მოპოება, თავის თამაშობით, ამის მეტი არაფერი არ იცოდა; თავის პატარა ძმით თამაშობდა და „პაპა“ კი თვალთ მაქცობდა და მკითხაობდა. მაგრამ ეს ხელობეები შემოსავლიანი არ იყვნენ: ინგლისელი ხალხი ძრიელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაისელი ხალხია, და ამისთანა დროს გატარება არ იქცევს იმის ყურადღებას, ინგლისელი იშვიათათ არის მხიარულათ. მოხუცი, დეედა და ბინდო კი ყოველთვის მხიარულათ იყვნენ, თუმცა კუჭი ხშირათ ცალიერი ჰქონდათ. პაპა იყო მხდალი, კეთილი და გულუბრყვილო, როგორც ბავშვი. ბინდო იყო პატარა, რგვალი, ცოცხალი ქმნილება, დეედა მოჭიკჭიკე, როგორც მერცხალი, თუმცა შხირათ მისი ცხოვრება საჭიკჭიკოთ არ იყო მომართული.

ესენი ჩამომაველობით ნეაპოლელები იყვნენ. დაიბადნენ პატარა ქოხში, მზის გულზე, ზღვის პირას და ბავშობიდანვე, როგორც მეთევზენი, ყურჭუმელაობდნენ, ცისფერ, ანკარა წყლებში, იმის სრუტეში. როდესაც მამა დაეხრჩოთ და დედა ანთებით მოუკვდათ, ესენი დარჩნენ პაპის სინამარას. პაპა ძრიელ მოხუცი იყო, ისეთი მოხუცი, რომ ბავშვები ფიქრობდნენ, იქნება პაპა ჩვენი ქვეყნის გაჩენაზე უმალ გაჩნდაო. პაპა წინათ მეწვრიმალე იყო და ახლა გროში არ გააჩნდა. ამ სიღარიბის გამო, მოხუცმა თანხმობა განუცხადა ერთ ცირკის პატრონს, რომელიც ჰპირდებოდა მათ დიდ ფულს, თუ გაჰყვებოდნენ სამზღვარ გარეთ.

როდესაც ინგლისში მოვიდნენ, ცირკის პატრონს უნდოდა მოხუცი გაეგდო, რადგანაც ეს ამას არაფერში გამოადგებოდა, და ბავშვებს დაჰპატრონებოდა, მაგრამ პაპა ამაზე არ დასთანხმდა და, როგორც იყო, ბავშვებიც ხელიდან გამოჰგლიჯა მეცირკეს. განთავისუფლდნენ, მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ უცხო ქვეყანაში იყვნენ და გროში ფული არ გააჩნდათ. მთელ მათ სიმდიდრეს, შეძლებას შეადგენდა მხოლოთ პატარა ყუთი სათვალთმაქცო იარაღებით.

ოთხი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ესენი აქ მოვიდნენ და რჩებოდნენ ინგლისში მხოლოდ იმისთვის, რომ შეძლება არა ჰქონდათ შინ დაბრუნებისათვის, დადიოდნენ სოფელ-სოფელ და აგროვებდნენ მოწყალებას, თითო გროშობით; სამივე ერთათ იყვნენ და ეს ისე ბედნიერებათ მიაჩნდათ, რომ მხიარულათ იტანდნენ სიცივეს, შიმშილს და ბევრს სხვა ნაკლულოვანებასაც. ზოგჯერ ამათაც

ელირსებოდათ ხოლმე ბედნიერი წამები; ბავშვების სილამაზე, სიმ-ხიარულე გულს მოუხიბლავდა ხოლმე სოფლის მცხოვრებთ და შეი-წვევდნენ სახლში, აჭმევდნენ, ასმევდნენ და თბილათ აძინებდნენ.

ესენი არ გასცილებიან სამხრეთ დეკონშირს. იქაური მწვანე, ნესტიანი, დაჩრდილული ალაგი აოცებდა ბავშვებს; ჯერ მათ ეგო-ნათ რომ ინგლისში მუდამ ქამს ბინდი იყო; კარგათ ახსოვდათ ბრწყინ-ვალე მზიანი დღეები თავის ქვეყანაში, ნათელი ფირუზის ფერი ცის კამარა და ზღვა, რომელიც ამათ მუდამ უღიმოდა და ეალერსებოდა; ეს მათ თავის დღეში არ ავიწყდებოდათ, და ყოველთვის, როდესაც მარტონი იყვნენ, სულ ამაზე ლაპარაკობდნენ; იგონებდნენ კაკტუსის ყვავილებს, ინდიხურმის ხეებს, მწიფე დაბრაწულ ბროწეულებს, ოქ-როს ფერ აპელსინებს, რომელნიც ყვითლათ გამოიყურებოდნენ ბა-ღების ხშირ მწვანე ხეებიდან; იგონებდნენ პატარა ნავებს, რომელნიც ზღვის ტალღებზე დაციმციმებდნენ, იგონებდნენ მარმარილოს სასა-ხლეებს, რომლის კიბეებიც ეშვებოდნენ ზღვის ანკარა წყლის კიდე-ებამდე. ვერ ივიწყებდნენ იმ დაუსრულებელ წინ გაშლილ წყლის სარკეს, რომელიც სრუტის კიდეებიდან თვალ წინ უელვარებდათ.

დიახ, ამათ ყველა ეს კარგათ ახსოვდათ; შხირათ ღამღამო-ბით სტიროდნენ და მოხუცებულის ცრემლები უერთდებოდა ბავ-შვების მდუღარებას. აქაც მინდვრები მწვანე იყო და თითქო ლამა-ზიც, მაგრამ ჰაერი ნესტიანი, ბნელი და ცივი!

— როცა მინდა გავარჩიო რამე აქ, თითქო წინ კედელი მეფა-რება; მართალია, ეს მხოლოდ ბურუსია სხვა არაფერი, მაგრამ გა-ნუშორებლათ, მუდამ ქამს სულ ასეა ამ ქვეყანაში! ამბობდა დქემა; — იქ, შინ კი შეიძლება იყურო შორს, შორს, დაუბოლოებელ მან-ძილზე; სუყველაფერი სჩანს და არ მოგწყინდება კიდეც მთელი დღე, რომ გარშემო იცქირო!

დქემა საშინლათ ნაღელობდა თავის ქვეყნის სიშორეს; ამას სრულიად არ ეშინოდა ზღვისა, და არც ზღვის ღელვა აწუხებდა. ბინდო კი, რომელიც საშინლათ იტანჯებოდა ზღვის ავათმტყოფობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე როგორც ამათი პაპა, შიშით სტიროდა გემის დანახვაზე. ბინდო, თუმცა ათის წლისა იყო, მაგრამ გონება იმდენათ არა ჰქონდა გასხნილი; დეემა კი რაც იმის ცამეტ წელიწადს შეეფერებოდა, მომატებული დარბაისელიც იყო.

ამ ქამათ კი სუყველანი მეტათ დაღონებული უნდა ყოფილიყვნენ, იმიტომ რომ ხურჯინში აღარ მოეპოვებოდათ ლუკმა პური და ქისაში გროში ფული, მაგრამ ესენი ტირილის მაგივრათ იცინოდნენ, ხუმრობდნენ, ოხუნჯობდნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს, სწორეთ ისე, როგორც ამათი ქვეყნელი გლახაკები, რომელთაც შხირათ, ამათსაეით, ლუკმა არსად მოეძეებათ, მაგრამ სამაგიეროთ მშვენიერ იტალიაში არიან, სადაც ყოველთვის მზე ბრწყინვალებს, ნიავი უალერსებს მათ, ტკბილ სიზმრებს აზმანებს ბ ანებივრებს მათ, ესენი კი ინგლისში იყვნენ, მუდამ ქამს ბურუსიან ინგლისში, სადაც ყოველ ქამს წინწკლავს და ნესტიანი ჯანყი აბნელებს დედამიწას.

მაგრამ ესენი მაინც მხიარულათ იყვნენ, მღეროდნენ თავის ნეაპოლელ ლექსებს და სრულიად არ ფიქრობდნენ ხვალინდელ დღეზე. კარგა მოშორებითაც იყვნენ ქალაქ დარმუტზე, სადაც მიეჩქარებოდნენ ხვალ ისთვის ბაზრობაზე და სადაც ამათ მცხოვრებნი ყოველთვის სიამოვნებით მიიღებდნენ ხოლმე.

მოხუცმა უცეფ შეხედა ბალახში ჩაფლულ ქალის მშვენიერ თავს და წაიბუტბუტა: ე—რა გეშველება, ჩემო პაწაწავ, როდესაც მე აღარ გეყოლები ქვეყანაზე? ეს ისე ჰკითხა მოხუცმა შვილიშვილს, თითქო მარტო ახლა გაახსენდა, რომ ოთხმოც წელში გადააბიჯა. მოხუცის თვალები, ოდესლაც მშვენიერი თვალები, მწუხარებით შეჰყურებდნენ პატარა გოგუცუნას.

— მე ეუპატრონებ ბინდოს, პაპა ჩემო, დიდ ფიქრს შემდეგ უპასუხა ქალმა. მაგაზე ნუ იწუხებთ.

— როგორ უპატრონებ? ეგ ადვილი სათქმელია... ბა როგორ?

— მე მგონია შეეიძლო სცენაზე თამაშობა, უთხრა დეემამ, კიდეე დიდ ფიქრს შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა თავი გააქნია.

— შენი ცეკვა არ გამოდგება სცენისთვის. იქ მაღლა ხტომა, ბროწეულია საჭირო; შენ კი ისე ჰფრინავ, როგორც მოგლეჯილი ფოთელი ქარისაგან, თეატრებს მაგ გვარი ცეკვა არ უყვართ.

— მაშ რა ვქნა, თქვა დჟემამ. მარა, ნუ გეშინიან; უთუოთ მოვახერხებ რასმე და ბინდოს კი არაფერს მოვაკლებ.

— შენ კეთილი ბავშვი ხარ, წაიდუდუნა პაპამ.

დჟემა ისევ ბალახებში ჩაწვა.

— ნუ ფიქრობ სიკვდილზე, პაპაჯან, სიკვდილი საშინელი ბნელი, გამოურკვეველია...

— არა, ჩემო შვილო, ჩვენ სიკვდილის შემდეგ წავალთ ცაში და იქ ხომ მუდმივი სინათლეა, თქვა მოხუცმა. თავის ოცნებაში, მოხუცი ადარებდა სამოთხეს ამალფის, თავის სამშობლო ამალფის, სადაც ეს სიყმაწვილის დროს დარბოდა, ხტოდა და ტიტელიკანა ეელებოდა ზღვის ტალღებში, სადაც ქარი მოაცურებდა ნიავივით ტალღებს და ნაზათ სცემდა იმ ნაპირებს, სადაც ეს ჰკრეფავდა მშვენიერ ლოკოკინებს და მარჯნის ნამტვრევებს. დიახ, სამოთხე უთუოთ უნდა ემგზავსებოდეს ამალფისო-ფიქრობდა იგი.

ეს აზრი ანუგეშებდა მოხუცს მაშინაც, როდესაც დატოპავდა მუხლამდის ტალახში ინგლისის გზებზე, ან დაწანწალებდა, ინგლისის ქალაქების ხალხით სავსე მოედნებზე.

წვიმამ გადაილო. მზემ გამოჰყო თავი ღრუბლებიდან და გაანათა დასველებული გზა თავის მკრთალი სხივებით. იმ მინდვრის ერთ მხარეს, სადაც ჩვენი მოგზაურები ისხდენ დასასვენებლათ, ალიზს სჭრიდნენ და მეორე მხარეს, ყანები იყო გაშლილი. მკის დრო იყო; ყანას მკიდნენ. კაცი და დედაკაცი ჩდილოებში ისხდნენ და საუზმობდნენ. ბინდო დიდხანს უყურებდა იმათ, შემდეგ ტირილი დაიწყო.

— შიმშილი უფრო მიძლიერდება, როდესაც იმათ ჭამას ვუყურებ, ამბობდა ღრიალით ბინდო.

დჟემა ფეხზე წამოხტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ სტირი, ჩემო ძვირფასო, უთხრა დამ ბინდოს;—წავალ და ვეთხოვ ერთ ლუკმას შენთვის!

თავის ძმა ბალახზე გააგორა და თითონ კი ყანებისკენ წავიდა. გასაოცარი სანახავი იყო დქემა: მოკლე თეთრი პერანგი, წითელი იუბკა, ჭრელი შალი და მარჯნის საყურეები ყურებში სულ ასხვავებდენ იმას ინგლისურ ხალხურ ტანისამოსთან. ეს ფეხშიშველი იყო; ოქროს ფერი, შხირი ხუჭუჭი თმა, ნათელიფით შემოჰკროდა იმის პატარა პირის სახეს.

— ჩემი პატარა ძმა ძრიელ მშიერია; თუ შეიძლება და გაიმეტებთ გვიბოძეთ პატარა პური, ტკბილათ უთხრა დქემამ მომკელებს. იგი ძრიელ ამაყი იყო, არ უყვარდა თხოვნა და ამისათვის საშინლათ გაწითლდა ამ სიტყვებზე.

მომკელებმა ჭამა შესწყვიტეს, გაცინეს და შემდეგ რამდენიმე მზისგან გაშავებულმა ხელმა გაუწვდინა პატარა ქალს კარგა მოზდილი პურის ნატეხები, ერთმა სიდრიც (ინგლისური სასმელი) ჩამოუსხა სტაქანში.

— მე ძრიელ, ძრიელ გმადლობთ, უთხრა იმან იმ ღიმილით, რომელიც ძრიელ ეგვანებოდა მზის სხივს.—სასმელი კი არ მინდა პაპაჩემს არ უყვარს, პურისთვის კი წმ. მარტინმა გადაგიხადოთ სამაგიერო.

შემდეგ დქემამ დიდის სიკეკლუცით თავი დაუკრა მუშებს და ისარივით გამოტრიალდა თავის სიმდიდრით.

— ეს მოთამაშე ქალია, პაპის ქვეყნიდან! უთხრა ერთმა მუშამ მეორეს და დაუმატა:—კარგი რომ ბატონმა არ დაინახა თავის მამულში თორემ სეირს უჩვენებდა მაგას! იმას არ უყვარს გლახები და მაწანწალები. დქემას ამათი არა ესმოდარა და მხიარულათ მიურბეინა პაპას და ძმას პურის ნატეხები, თითონაც თავისი ბროლის კბილებით დაუწყო ხმელ ქერქს ღრნა.

— აი, ახლა დარმუტის გზა გრძლათ აღარ გვეჩვენება! უთხრა იმან ბინდოს და ბინდომაც ყბებ გამოტენილმა მხიარულათ თავი დაუქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ რა რიგათ უყვართ ხმელი საჭმელი! სთქვა მოხუცმა და ამოიოხრა, მას მოაგონდა თავიანთებური მაკარონი და ლოკოკინა, რომლის ჭამასაც ეს ველარ მოესწრებოდა თავის დღეში!—ეს მხარეც მდიდარია, მაგრამ ხალხმა ცხოვრება არ იცის, დაუმატა იმან—კაცი ულვინოთ კეთილს რას გააკეთებს?!

— ესენი კარგ პურს აცხობენ! თქვა დქემამ და შეილოკა თავის ვარდისფერი ტუჩები.

ამაობაში მინდერის პატრონი გამოვიდა სამკალში მუშების დასათვალიერებლათ; იმის სახლი აქ მოახლოებით იდგა და მოფარებული იყო დიდროვან ხეებს, რომელნიც მდინარე ეკსის ნაპირას იზრდებოდენ. ეს მდიდარი ყმაწვილი, შრომის მოყვარე და მშვენიერი კაცი იყო; იგი იყო კეთილი და ეხმარებოდა ყველა გაჭირვებულს, მაგრამ ამასთანვე ის იყო დიდათ პატივცემული მსაჯული და ეზიზღებოდა ყველა უსაქმური მაწანწალა. იმას ერქვა ფილიპე კარრეი; ამ გვარს ატარებდენ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მისი ჩამომავლობანი და ამისათვის ისე ამაყობდა თავის გვარით ფილიპე, როგორც ნამდვილი წმინდა სისხლის მეფის შვილი.

ბედის ჩარხის ტრიალით ისე მოხდა, რომ კარრეიმ, თავის მშვენიერ ლურჯ ცხენზე მჯდომმა, გაიარა სწორეთ იმ მხარეს, სადაც მოხუცი, დქემა და ბინდო ისხდენ; ფილიპემ დაინახა ისინი და წარბები შეიკუმშა.

— თქვენ აქ სიარულის ნება ვინ მოგცათ? მკვახეთ ჰკითხა იმან და ცხენი შეაყენა.

მოხუცმა ღიმილით შეხედა, ადგა და ზრდილობიანათ თავი დაუკრა, ინგლისური არ იცოდა და ამისათვის გადახედა დქემას, რომ იმას მიეცა პასუხი ყმაწვილი კაცისთვის.

— ჩვენ მხოლოთ დავისვენეთ აქ, ბატონო, უთხრა დქემამ ციავთ. ეს ხომ შარა გზაა.

— ეს შარა გზა არ არის, მიუგო მებატონემ—და თუნდაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შარა გზაც იყოს, ნება არა გაქვთ აქ თრევისა. თქვენ ხომ— ჯამბაზები ხართ!

— ჯამბაზები? გაიმეორა დეემამ; იმან ვერ გაიგო ამ სიტყვის მნიშვნელობა.

— თქვენ აკრობატები ხართ? ვითომ აუხსნა ყმაწვილმა კაცმა.

— ჩვენ არტისტები ვართ.—უთხრა დეემამ.

— რას აკეთებთ, რითი შოულობთ ლუკმას? ჰკითხა კიდევ მკვახეთ მსაჯელმა.

— ჩვენ ვცეკვამთ, მიუგო ქალმა და პაპა ჩვენი კი მანქანებს უჩვენებს ხალხს, მკითხაობს, ბევრჯელ ლატარიას ათამაშებს; მაგრამ მხოლოდ მაშინ როცა ფული გვაქვს, ახლა კი გროშიც არსად მოგვეძევება.

— ლატარიას! შეჰყვირა კარრეიმ და უფრო წარბები შეიკრა,— მაშ თქვენ მაწანწალანი ყოფილხართ და იქნება უარესნიც. მაშ თქვენ მარტო თქვენის ოინებით სცხოვრობთ?

— ჩვენ ვცეკვამთ, გაიმეორა დეემამ.

— სცეკვამთ! კითხვა და წერა კი იცით?

— ოჰ, არა!

— რამდენი წლისა ხარ?

— მე ცამეტისა, ბინდო ათისა და პაპა... ო, პაპა ისე ბებერია, როგორც თვით ქვეყანა.

— ეს თქვენი ნამდვილი პაპაა?

— დიახ.

— არ შეუძლიან ინგლისურათ ილაპარაკოს?

— არა. კბილები აღარა აქვს და თქვენი ინგლისური ენა კი საშინელი მოუხეშავია.

— შენ თითონ მოუხეშავი გომბიო ხარ.

დეემამ ამ სიტყვებზე ისე ნაზათ გაიცინა, თითქო დიდი ქება შეასხა ვინმეო. კარგათ იცნობდა ცხენოსანს, თუმცა იმას კი თვალითაც არსად დეენახა დეემა. ამ ყმაწვილის მოსამსახურე გოგომ

ერთხელ კარგა მისჯოხა ბინდო, როდესაც ის საქათმიდან ორ კვერცხს ჯიბეში იდებდა; ერთხელ იმისმა მებაღემაც გამორეკა დქემა და ბინდო, იმ მიზეზით რომ თქვენ ბალახს ჰქელავთო; ამიტომ ბავშვებს ცხენოსანი არ მოეწონათ, თუმცა ის ძრიელ ლამაზიც იყო და მშვენიერი სიკეთით საესე თვალებიც ჰქონდა.

ფილიპპე კერრეისაც არ მოეწონა ლამაზი დქემმა, რიგიანათ არც კი შეხედა პირისახეზე, ისე გაჯავრებული იყო იმის უზდელი პასუხებით:

— შენ რატო ისე არ გაცვია, როგორც ქრისტიან ქალს შეჰფერის? მკვახეთ უთხრა ფილიპემ ქალს.

— მე ქრისტიანი ვარ, თავის მხრივ, გაჯავრებითვე უთხრა დქემმამ —მე უკეთესი ქრისტიანი ვარ თქვენზე. თქვენ რას დაეძებთ ჩემ კაბას? თქვენი ნაყიდი ხომ არ არის?

— ეგ კაბა სასირცხვილოა!

— რაო! მაშ აგრე! შეჰყვირა დქემმამ, თვალებში ცეცხლი აენთო; ელვაზე უმალ ის შეახტა ყმაწვილი კაცის უნაგირს და ორი ისეთი სილა უთავაზა, რომ თქვენი მოწონებული.

ფილიპე ისე იყო გაოცებული და გაკვირვებული ამ საქციელით, რომ ხელის განძრევაც ვერ მოახერხა; ცხენიც ამ მოულოდნელ დაცემაზე შეკრთა, დაიწყო ხტუნვა, უკანა ფეხებზე შედგომა, და ისე გადაირია რომ ცხენოსანი ძლივსლა იმაგრებდა. შორიდან მოისმა მომკელების გაოცებული ხმაურობა და ფილიპე მიხვდა, რომ მუშებმა სუყველაფერი დაინახეს.

დქემმა ისევე მარდათ გადმოხტა ცხენიდან, როგორც შეხტა და, მანამ ყმაწვილი კაცი გაგეშებულ ცხენს დააშოშმინებდა, ბებერი და ყმაწვილები სადღაც მიეფარენ. ლოყები ეწვოდა კორრეის, მისი სიამაყე შელახული იყო, მაგრამ მაინც ღიმილი ვერ შეეკავებინა, ისე სასაცილო იყო იმის მდგომარეობა.

— ოხ, სწორეთ პატარა ვეფხია! ფიქრობდა ის და აშოშმინებდა თავის ყმაწვილ ბაჩას, რომელიც ჯერ კარგათ არ იყო გახეღნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ის მიუახლოვდა თავის მუშებს, ვერც ერთმა ვერ გაგება რისამე თქმა; სუყველას ერიდებოდა ფილიპე კარრეისა, იმიტომ რომ ის იყო სასტიკი ბატონი.

ფილიპპე მთელ დღეს მინდორში დარჩა და სახლში მხოლოდ საღამოზე დაბრუნდა. სადილზე მარტოკა დაჯდა, მახლობელი არავინა ჰყავდა. ეს უფრო სწავლული იყო, მანამ სოფლის მებატონე და მარტოკაობა ამიტომ მოსწონდა. იმისი სახლი დიდი და კარგათ ნაგები შენობა იყო. გარშემო გაშლილი ჰქონდა მწვანე მინდვრები, იქ იზდებოდნენ დიდროვანი მუხები და შორი ახლოს ჩამოურბოდა კარგა მოზდილი მდინარე. ფილიპე კარრეი ძველის ძველი აზნაურშვილი იყო, დარბაისელი, სწავლიული და დიდის გემოვნებით სადა ცხოვრების მოყვარული; მას უყვარდა თავის სახლი, მოსწონდა ის, კმაყოფილი იყო და ამაზე მეტს აღარას ეძებდა ქვეყანაზე.

დღეს საღამოზე კი ჩვეულებრივ კმაყოფილათ არ გრძნობდა თავის თავს. ყურები ეწვოდა ყმაწვილის შემოკრული სილით. ფილიპეს უყვარდა საბერძნეთის და რომის გამოჩენილი აეტორების კითხვა და საღამოობით, დღიურ მუშაობის შემდეგ, დაჯდებოდა ხოლმე თავის სახლის მაღალ ბალკონზე, ჰფურცლავდა წიგნს, თან ყურს უგდებდა ბულბულის სტვენას და წყლის შხუილს. დღეს კი საყვარელი ფილოსოფოსნი არას ეუბნებოდნენ ამის გულს; განა იმათგანს ვისმე უგრძვნია სასტიკი სილა პატარა ტარტაროზისა, მაწანწალა, ჯანბაზი გოგოსი?

ამდროს პატარა ტარტაროზი თავის ძმით თამაშობდა დარმუტის სასტუმროს წინ; თამაშობდა ისე, როგორც თამაშობენ ქალები აპელსინის ხეებ ქვეშ იმის სამშობლოში და ისე მოსწონდათ მაყურებელთ, რომ დაუშურებლივ უესებდნენ წვრილი ფულით პატარა დაირას, რომელსაც ეს დიდის სიკეკლუცით ათამაშებდა და აყოლებდა თავის ცეკვას. სასტუმროს პატრონმა დედაკაცმა ალერსით უთხრა დჟემმას საღამოზე:

— შენ კარგა ფულები შეაგროვე, ჩემო ცუგრუმელავ და უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახარჯო კიდეც, ხვალ კიდევ არის ბაზრობა და უფრო დიდი საშოვარი მოგელის!

დეკემმა დიდი ბედნიერი იყო ამ შეძინებით; ამან მაშინვე შეუკვეთა კარგი ვახშამი პაპისთვის და თითონ კარებთან ჩამოჯდა. უცებ საშინლათ გადიხარხარა, თუმცა სრულებით მარტოკა იყო. იმას მოაგონდა დილანდელი დარბაისელი, დიდი ბატონი ლურჯ ცხენზე, და სიბრაზით დაუმატა: „ო, მოხვდა, მემგონი, ძალიანაც მოხვდა! მადლი ღმერთს! თუ საგრძნობელი დაღი დავასვი“!

შემდეგ დეკემმამ გაიხსნა პერანგის გულიპირი, იქიდან ამოიღო პატარა ხატი და მხურვალეთ ემთხვია, თითქო ცოდვის მოსანანიებლათ. მერე შეეიდა და ჩაწვა იმ ლოგინში, რომელიც სასტუმროს ერთ კუნჭულში იყო ამისთვის გაშლილი.

მეორე დღეს პატარა, მიეიწყებულ ქ. დარმუტში ბაზრობა იყო; ნაოსნები და გლეხები, მებაღეები და მეთევზეები, მეწისქვილეები და მიკიტნები, მჭედლები და თერძები—ირეოდნენ ერთმანეთში და აესებდნენ მეიდნებს. მოხუცი სანტო ადრე გამოაღეიძეს შეილიშვილებმა, იმათ უნდოდათ ადრე დეეწყოთ გროშების შეგროვება; გუშინდელი მონაგები საშინელის სისწრაფით გეეპარათ ხელებიდან. დეკემმა ფიქრობდა, რომ ფულებს ალბათ ფრთები აქვთო, ისე პეპელასავით უფრინდებოდა ხელებიდან, უფრინდებოდა, თუმცა ესეც და პაპაც ძრიელ ხელ მოჭერით ეპყრობოდნენ მათ.

სამიეენი მოირთვნენ, ჩაიცვეს რაც კი ებადათ, ამ ბედნიერი დღისთვის დეკემმამ გაირეცხა თავის თეთრი პერანგი, ბინდოსაც გაურეცხა; და თუმცა მათი აჭრელებული ტანისამოსი ძრიელ გახუნებული იყო წვიმით და მოგზაურობით, მაგრამ მაინც შვენოდა იმათ შავ თვალებს, ხუჭუჭს ოქროს ფერს თმებს და დაბრაწულ ლოყებს.

დეკემმა მაგრა უტყაპუნებდა ხელებს ტამბურინს და სუბუქათ პროწიალებდა, მოხუცი პაპა, უბრალო ხის სალამურზე აყოლებდა სათამაშო ხმას. ასე თამაშობდნენ ყმაწვილები თითქმის მთელ დღეს და საღამოზე, როდესაც ქანც მიწყვეტილი ეელარ ანძრევდნენ ფე-

ხებს, მოხუცი უჩვენებდა ხალხს რალაც მანქანებს ჩხირების, ხის ნაჭრების და სათამაშო ქაღალდის დახმარებით. ხან ქაღალდს უშლიდა მსურველებს და, ყველას იმდენ კეთილს და სასიამოვნოს უწინასწარმეტყველებდა, რომ სიამოვნებით აძლევდნენ თითო ოროლა გროშებს. გლეხებს უხაროდათ, როდესაც ეს ჰპირდებოდა კარგ მოსავალს, მრავალს ცხვარს, საქონელს; ყმაწვილ თაობას უქადდა, ბედნიერ მომავალს, სიყვარულს და ტკბილ ცხოვრებას.

დღე ღამდებოდა და წყნარი ბინდი ეფინებოდა ქვეყანას, ამდროს მოედანზე გაისმა ხმა: პოლიცია, პოლიცია! ის წრე, რომელიც მოხუცის სტოლს შემორტყმოდა, გაირღვა; პოლიციის მოხელემ მიჰყარ-მოჰყარეს ყველა სამკითხაო ნივთები და კანონის სახელით შეიპყრეს მოხუცებული!

ბებერმა ყვირილი დაიწყო, რალაცას ლაპარაკობდა იტალიანურათ, მაგრამ ერთი სიტყვა არავის ესმოდა. ბინდო ღრიალებდა. დქემმა პირველში შეკრთა, შიშით ხმა ვერ ამოიღო, მერე კი მივარდა პოლიციელს და ისე უკბინა ხელზე, რომ სისხლი შადრევანივით გადმოსკდა. პოლიციელი სიმწარით გაბრაზებული მივარდა დქემმას და გააკავა, მეორე ხელით საყელო დაუჭირა პატარა ბინდოს.

ბრძოლა შეუძლებელიღა იყო, თუმცა დქემმა, როგორც გარეული კატა ისე იკაწრებოდა, მაგრამ ძალა მომატებული იყო და და მალე ესენიც წაასხეს ამავე გზით, რომლითაც წაიყვანეს ამათი პაპა.

ზოგიერთნი გამოესარჩლნენ საცოდავ მოხუცს და ბავშვებს, მაგრამ პოლიციამ სასტიკათ გაჰფანტა:—როგორ!. მკითხაობს, ოინბაზობს, ლატარიას ათამაშებს და პოლიციის დაუკითხავათ? განა ეს შესაძლებელია?! კიდევ, ღმერთს მადლობა შესწიროს, თუ მოხუცი ერთის თვის ტუსაღობით გადარჩება ამ დანაშაულსო! ხალხი დაწყნარდა; ზოგს იმათგანს ეგონა, რომ მოხუცი კუდიანი იყო და თავს დააღწევდა თავის თავათ და დამშვიდებული წავიდნენ თავ-თავის სახლებისკენ.

ქე. გაბაშვილისა.

(შემდეგი იქნება)

მოწყენილი ჩიტი.

(გადმოკეთებული).

ყველა ხარობს, მხიარულობს,
დაფრინავს და დაცქრიალობს,
მხოლოთ ერთი ჩიტუნია
ჩუმათა ზის, არა გალობს.
—რათ არ მღერი ჩემო კარგო
არ გახარებს შენ კი დილა?
შეხე ჭალა, მთა და ველი
რა შეენიერათ გადაშლილა.
მითხარ გული რამ მოგიკლა,
ვინ დაგჩაგრა—გაგაწბილა?
—მეც ვგალობდი გაზაფხულზე
ამ ბუნების წყალობითა;
დილის ცისკარს, მზისა სხივებს
ვუხვდებოდი გალობითა.
მაშინ ვიყავ სამი შვილის
მოალერსე ტკბილი დედა,
ჩემზე ადრე მოჭიკჭიკეს
ვერ ნახავდით დილაზედა.
ვუზიდავდი შვილებს საჭმელს,

ვუგალობდი მხიარულათ,
ღამე ფრთებ ქვეშ ვაძინებდი
გადაქმნილი სიხარულათ.
ვათენებდი ასე ტკბილათ
უდარდელათ, უზრუნველათ,
გარიჟრაჟზე მარცვლებისთვის
დავგოგავდი მინდორ-ველათ.
მაგრამ ტკბილათ დროს ტარება
ამომშხამდა მეტათ მალე;
კაცის ბოროტ გულსა და ხელს
ვერც ჭალაში დავემალე.
ვიღაც მავნეს ერთ დღეს ჩუმათ
ჩემი ბუდე დაეშალა;
რომ ვნახე მეცა ელდა
გული ნაღვლით დამეძალა.
და მას შემდეგ მწარეთ ვტირი,
შვილებს ნაღვლობს ჩემი გული,
ერთ წუთს აღარ მეკარება
მათ დამკარგველს სიხარული.

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალიის შურის ძიება.

(თარგმანი)

ერთ უმაწვილს მეტ სახელს „კალიას“ ეძახოდენ. იგი თორმეტი წლისა იყო. როგორც კი დადგებოდა გაზაფხული სულ მინდვრებში და ღელეებში დაეხეტებოდა. ყოველთვის მხიარული და უხრუნველი იყო სკვინჩასავით; ზაფხულობით სადილობდა სადმე ღობის ძირას მარწყვითა და სხვა ტეის ხილით, იძინებდა ცას ქვეშ მწვანე ბალახზე.

უმაწვილს გიტარა ჰქონდა და იმაზე დამღერობდა სასიამოვნო სიმღერებს. ზაფხულობით ფულს ქუდში უყრიდენ, ზამთრობით კი, კეთილი ადამიანები რომ ნახავდენ იმის დაკლეჯილ ტანისამოსს, აჭმევდენ ხოლმე ცხელ წვენს და ღამე შეიყვანდენ საბძელში, სადაც ბზეში თბილათ და რბილათ იძინებდა.

„კალია“ თავის თავს ბედნიერათ გრძნობდა.

ერთხელ ზამთარში თოვლდა. ბატარა მდინარე სიცივეს გაეყინა. ჩვენი „კალია“ დილიდანვე მშიერი იყო, ის შევიდა ერთ სასახლის ეზოში და მოჰყვა სიმღერას, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს სახლის ფანჯარა გაიღო, იქიდან გამოჭეო თავი შალში გახვეულმა ქალმა და გაჯავრებით ჰკითხა:

— შენ აქ რა გინდა?

— ძცივა, მშიერი ვარ, უპასუხა კალიამ.

— აქ გლახების ადგილი არ არის!

— ქალბატონო, მე ვიმღერე.

— ახლა წადი იხტუნე! და გათბები!

ემაწვილს თავის სიცოცხლეში ჰირველათ აევსო თვალები ცრემლებით.

—

დადგა ზაფხული. ემაწვილს მოუხდა ხელმეორეთ გავლა იმ სასახლის წინ, ტუე-ტუე, მდინარეს ახლო. უეცრათ მოესმა ხმამაღალი, მხიარული სიცილი.

მდინარის ნაპირას თამაშობდენ ორი შვენიერი ბავში, ქალ-ვაჟი. დედა თან ჰყავდათ, რომელიც ბედნიერებით აღტაცებული შეცქეროდა მოთამაშე შვილებს.

„კალია დაჯდა“ მწვანე ბალახზე, ხეებ ქვეშ და მოჰყვა ჰურისა და მკვახე ვაშლის გულიანათ ჭამას.

ერთბაშათ საშინელმა წივილმა წამოახტუნა. ხმაზე იცნო, რომ ის ქალი ყვიროდა, რომელმაც შარშან ზამთარში ეზოდან გამოაგდო; ქალი შველას გაიძახოდა, ბავში წყალს მიჰქონდა, ფართხალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კალია“ ერთ წამს ეოუმანობდა, მერე საჩქაროთ დადო ბალახზე გიტარა, გაიძრო დაგლეჯილი ჩასაცმელი და გადაეშვა წყალში. ცურვა კარგათ იცოდა. ერთი ორჯელ გაიქნ-გამოიქნია ხელები, სტაცა ხელი უმაწვილს, რომელიც ჯერ კიდევ წელის ზემოთ ქანაობდა და გამოიყვანა ნაპირას.

ქალის ეკირილზე, ვინც სასახლეში იყვენ, ეველა გამოცვინდენ და შემოეხვიენ „კალიას“, რომელიც გაძდგარიეო ერთ მხარეს და ხმა ამოუღებლივ ტანისამოსს იცვამდა. ის იყო უნდა წასულიეო თავის გზაზე, რომ ჯერ კიდევ აღელვებულმა დედამ გაუწვდინა ფულით სავსე ქისა.

— მადლობელი გახლავართ ქალბატონო, თქვა უმაწვილმა—მე გასამრჯელოს არ ვიღებ.

— შემოდი მაინც სახლში, რანაირათ ცახცახებ!

— მადლობელი ვარ. წავალ, ვისტუნებ მზეზე და გავთბები!

„კალიამ“ ჩამოიფხატა ქუდი და ღიღინით გასწია.

ბავშის დედა იდგა გაოცებული და ცრემლები ჩამოსდიოდა ლოყებზე.

ა. წ– ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ მეფე და ორი გოლიათი.

ერიელ დიდი ხანია მას აქეთ, რაც ქართველებს ჰყავდათ ერთი საკვირველი მეფე ვახტანგი, რომელსაც მეტსახელს **გორგასლანს** ეძახდენ. ვახტანგის მამას ერქვა მირდატი, დედას საგდუხტი. როცა მეფე-დედოფალს ვახტანგი მიეცათ, დიდ სიხარულში იყვენ; ღმერთს მადლობა შესწირეს და საწყლებს ბევრი ოქრო და ვერცხლი დაურიგეს. ყველანი მის გაზრდას ნატრობდენ.

როგორც კი დაიბადა ვახტანგი, მეფე-დედოფალმა იხმეს ყველა ჯარების უფროსი (სპასპეტი) ერთგული საურმაგი და; როგორც ჩვეულება იყო მაშინ ჩვენში, თავისი საყვარელი ვაჟი მას და მის ცოლს ჩააბარეს აღსაზრდელათ. მაგრამ, როცა ვახტანგი შვიდი წლისა გახდა, მამა მოუკვდა და დედის ამარა დარჩა. საგდუხტი ძრიელ ჭკვიანი დედა-კაცი იყო და, რაკი ვახტანგი ჯერ პატარა იყო, მის გაზრდამდის, სამეფოს თითონ განაგებდა.

იმ დროს საქართველოში ერთი ძრიელ ნასწავლი მიქელ ეპისკოპოზი ცხოვრებდა; ვახტანგის დედამ იმას ჩააბარა თავისი საყვარელი ვაჟი აღსაზრდელათ. მიქელ ეპისკოპოზმა საუცხოოთ აღზარდა თავისი მოწაფე, ყველაფერი შეასწავლა, რაც კი მაშინდელმა ნასწავლმა კაცებმა იცოდენ და თან ღვთისა და სამშობლოს სიყვარული ჩაუნერგა გულში. სამხედრო საქმეებში, ესე იგი: ცხენზე ჯდომაში, იარაღის ხმარებაში და მტერთან ბრძოლაში—ჯარის უფროსები, ჯერ საურმაგი და მის შემდეგ ჯუანშერი, ავარჯიშებდენ მეფის შვილს და საკვირველათაც გაწრთვნეს იგი.

მაგრამ რაკი ვახტანგი ჯერ პატარა იყო და სამეფოს დედა-კაცი განაგებდა, ამიტომ მტრებმა დაიჯაბნეს ქართველები, ყოველ მხრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან შემოესიენ და ბევრი ადგილებიც დაიჭირეს. ასე გაშინჯეთ ოსებიც კი აღარ ეპუებოდენ ქართველებს, მოულოდნელათ დაეცენ ქართლს, ერთიანათ აიკლეს და თან ვახტანგის სამი წლის დაი—მირანდუხტი მოიტაცეს. ვახტანგი ამას ყველაფერს ჰხედავდა, გული უკვდებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა ყმაწვილს, იგი სულ იმას ნატრობდა მალე გაზრდილიყო და მტრების ჯავრი ამოეყარა. ყველაზე უფრო კი ოსების ჯავრი ჩაუვარდა ყმაწვილს გულში.

ერთხელ, როცა ვახტანგს ხუთმეტი წელიწადი შეუსრულდა, დაიბარა ყველა ჯარების უფროსი ჯუანშერი, ეპისკოპოზები, ერისთავები, ყველა გამოჩენილი პირები და გამოუცხადა მათ: „ოსების თავხედობა ჩვენგან მოსათმენი არ არის; ჩემი დის სიბრალული გულზე ცეცხლს მიკიდებს, ამისთანა სირცხვილს სიკვდილი მიჯობსო. მინდა, ღვთის შეჩვენით, ოსებზე გავილაშქრო და მათი ჯავრი ამოვიყაროვ“.

ჯუანშერმა მოახსენა ახალ-გაზრდა მეფეს: —თქვენ შინ დარჩით, სამეფოს უპატრონეთ, რომ ერაფერი გვენოსთ და ქვეყანა არ დაობლდეს. ჩვენ გვიბრძანე, წავალთ და, ღვთის შეწევნით, დავძლევთ ოსებსო. სხვებიც ყველანი ამ აზრისა იყვენ, მაგრამ ვახტანგი არ დათანხმდა და თვითონ მოინდომა წასვლა.

როცა ოსებზე გალაშქრება გადაწყვიტეს, ყველანი შინ დაბრუნდენ და მზადებას შეუდგენ. ლაშქარი მუხრანსა და ხერვში შეიკრიბა და არაგვის ორივე ნაპირებზე დაბინავდა. სულ იყო ასი ათასი ცხენოსანი და სამოცი ათასი ქვეითი ჯარი. ახალ-გაზდა მეფემ აქ დაათვალიერა თავისი ლაშქარი, ძრიელ მოეწონა ყველაფერი და კმაყოფილი დარჩა. შემდეგ ისევ მცხეთაში დაბრუნდა და შვიდი დღე მარხულობაში და ლოცვაში გაატარა; ამას გარდა დიდძალი ფული დაურიგა გლახებს. ქვეყნის მმართველათ ისევ თავისი დედა დატოვა. შემდეგ ლაშქართან დაბრუნდა და გასწია დარიელისაკენ. ამ დროს ვახტანგი მეთექვსმეტე წელიწადში ჩადგა.

ოსეთის მეფეც დიდ მზადებაში იყო: დიდი ლაშქარი შეჰკრიბა,

ხაზარეველებიც მოიშველია, წამოვიდა და დაბანაკდა ოსეთის არაგვის გალმა ნაპირს. გამოლმა ნაპირს ქართველთა ლაშქარი დადგა. აქ ჯარები შვიდი დღე დარჩენ და ამ შვიდი დღის განმავლობაში კერძო ბრძოლა იყო სახელგანთქმულ ვაჟკაცთა (ბუმბერაზებთა) შორის.

ხაზარელებს ერთი გოლიათივით შესანიშნავი ვაჟკაცი ჰყავდათ, რომელსაც თარხანი ერქვა. გამოვიდა თარხან და ხმა მაღლა დაიძახა:

„გეტყვი თქვენ ყოველთა სპათა ვახტანგისათა, ვინც თქვენ შორის უძლიერესი არის, გამოვიდეს ჩემზედა“!

ვახტანგსაც ერთი ისეთი შესანიშნავი მეომარი სპარსელი ჰყავდა, რომელიც თავის სიცოცხლეში არავის არ დაეძლია და რომელსაც ბევრჯელ ლომი ხელით შეეპყრო. აი, ეს კაცი გამოიყვანა ვახტანგმა თარხანთან შესაბრძოლათ. როგორც კი მიახლოვდენ, შეუტიეს ერთმანეთს, მაგრამ თარხანმა დაასწრო, თხლიშა ხმალი ვახტანგის გმირს და ბეჭებამდის გააპო. ამ ამბავმა ძრიელ დააღონა ვახტანგი და მთელი ქართველი ლაშქარი, რადგანაც მისთანა აღარავინა ჰყავდათ. აღარ იცოდენ, რა ექნათ, ყველანი დიდათ შეწუხებული იყვენ.

დაღონებული ახალგაზდა მეფე შეეიდა თავის კარავში; მარტო დარჩა და რაღაცას ფიქრობდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭია, ღმერთს ევედრებოდა და შველას თხოვდა. გათენდა თუ არა, თარხან კიდევ მოდგა მდინარის ნაპირზე; დასცინოდა ქართველებს, იმუქრებოდა და კვლავ ითხოვდა მებრძოლს.

ამ დროს ვახტანგიც გამობძანდა კარავიდან, მიუახლოვდა ლაშქარს და გამოუცხადა: „ღვთისა და არა ჩემი ძალის იმედით, მე თითონ გავალ თარხანთან საომრათო.“ ამ მოულოდნელმა ამბავმა ყველანი გააკვირვა: იცოდენ მეფე სულ ახალგაზდა და გამოუცდელი იყო და ამიტომ ეხვეწებოდენ, არ გასულიყო, მარა ვახტანგმა მაინც არ დაიშალა.

წასვლის წინ ილოცა, თავი ღმერთს მიანდო და თავის ლაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარს უთხრა: ეეედრეთ ღმერთსა და ნუ შეწუხდებითო". მერე შეჯდა თავის ბედაურზე და გასწია. ქართველები მწუხარებით აღიესენ, იმედი არა ჰქონდათ, ყველანი ღმერთს ავედრებდენ ვახტანგს, მაგრამ არ უნდოდათ სამწუხარო სურათის თავის თვალით დანახვა, და ამიტომ პირი უკანა ჰქნეს. როცა ვახტანგი თარხანმა დაინახა, შემოსძახა:

„მე გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მებრძოლი ვარ და არა ყმაწვილთა. განა შენზე უნდა დავიმდაბლო თავი ჩემი"!

შემდეგ ამისა შეუტიეს ერთმანეთს, მაგრამ ახალგაზდა ვახტანგმა დაასწრო, ჰკრა ისარი წინიდან და ზურგამდის გაუწია. თარხან გადმოვარდა ცხენიდან და უსულოთ ძირს დაეცა. ქართველ ლაშქრის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, დასცეს კიჟინა და ვაშა-ვაშა. თვით ვახტანგი მსწრაფლ ჩამოხტა ცხენიდან, დაიჩოქა და ღმერთს მადლობა შესწირა. მერე მოკვეთა თავი თარხანს, შეჯდა თავის ბედაურზე და წამოვიდა. ლაშქარი აღტაცებით მიეგება და ყველანი ულოცავდენ გამარჯვებას თავის საყვარელ ახალგაზდა მეფეს. ასე გაიმარჯვა ვახტანგმა თარხან ხაზარეველზე, მაგრამ საქმე ამითი არ გათავებულა.

—

მეორე დღეს სხვა ბელადი, ვილაც ოსი ბაყათარ გამოვიდა. იგი ისეთი შესანიშნავი მეომარი იყო, რომ თავის დღეში არავინ მოერეოდა. მის მშვილდს თორმეტი მტკაველი სიგრძე ჰქონდა, ისარს ექვსი მტკაველი. მოადგა ეს ბუმბერაზი მდინარის ნაპირს და ხმა მაღლა დაიძახა:

„ვახტანგ მეფეო! ნუ იქადი თარხანის მოკვლით; ის არ იყო ნამდვილი გოლიათი და ამისთვის მოიკლა ყმაწვილისაგან. თუ გაბედავ ჩემთან გამოსვლას, მაშინ ნახავ სასტიკ ბრძოლას, რომელსაც ვერ გადურჩები. მე მზათ ვარ აგრეთვე ვეომო, ვინც გინდა გამოვიდეს".

ვახტანგმა უპასუხა ბაყათარს: „მე ჩემი ძალით კი არ მოვრეოვარ თარხანს, არამედ ღვთის შეწევნით, და არც შენი მეშინია, როგორც ერთი ძალლისა, რადგანაც ქრისტეა ჩემი შემწე და ჯვარი მისი ჩემი იარაღი".

ამას შემდეგ ვახტანგი შეჯდა ცხენზე, მიახლოვდა მდინარის ნაპირს და იქედან შესძახა ბაყათარს: „მე არ გამოვალ მანდეთ, რა-

დგანაც მეფე ვარ, არ მიეუახლოვდები ოსთა ლაშქარს, რადგანაც ბატონი ვარ. ჩემი სიკვდილით მთელ ჩემ ლაშქარს დიდი ზარალი მოელის; შენ კი მონა ხარ და შენი სიკვდილით, როგორც ერთი ძაღლის მოკვლით, არ ევნების ოსთა ჯარს; გამოდი გამოღმა ჩემკენ“.

ბაყათარ ოსმა აღასრულა მეფის ბრძანება და გამოვიდა გამოღმა. ვახტანგმა ამ დროს უკან დაიწია. როგორც კი გამოვიდა ბაყათარ, დაუწყო ისრების სროლა ვახტანგს; მაგრამ ვახტანგი შორიდან ხედავდა ნასროლ ისრებს და საკვირველი სიმარდით იცილებდა მათ. ორივე მხარეს ისეთი გაცხარებული ცემა იყო ბუკებისა და დაფდაფთა, ისეთი ხმაურობა ლაშქართა, რომ მთები იძროდენ ბოლოს ბაკათარ ოსმა სტყორცნა ისარი ვახტანგის ცხენს და სასიკვდილოთ დასჭრა. მაგრამ, მანამ ცხენი დაეცემოდა, ვახტანგმა მიაგდო იგი ბაყათართან და ისე ღონიერათ დაკრა ხმალი მხარზე-რომ გულამდის გაჩეხა. ამ დროს ვახტანგის ცხენიც დაეცა. მაშინ ვახტანგმა მარდათ სტაცა ხელი ბაყათარის ცხენს, შეიპყრა იგი, მოახტა და გამოსწია თავის ლაშქრისაკენ. როცა მიუახლოვდა, შესძახა ჯარს: „გამხნევდით, ღმერთი ჩვენსკენ არს“! ჯარი დიდის აღტაცებით მიეგება.

შემდეგ მეფემ ღმერთს მადლობა შესწირა და მიუსია ლაშქარი ოსებს. გაიმართა საშინელი ბრძოლა; ვახტანგი ამხნევებდა ყველგან თავის ჯარს და ლომივით იბრძოდა, შეშინებულმა ოსებმა იბრუნეს პირი და გაიქცენ. მრავალი მათგანი ამოსწყვიტეს ქართველებმა და მრავალიც ტყვეთ შეიპყრეს.

გამარჯვებული და დაღალული ლაშქარი მეფემ სამ დღეს დაასვენა; შემდეგ შეესიენ ოსეთს, სრულიად სძლიეს ოსები და მათი მომხრე ხაზარები; მრავალი ქალაქი აიღეს და დიდძალი ალაფი წაართვეს. დამარცხებულმა ოსებმა ვახტანგს შენდობა თხოვეს და მოჰგვარეს, უვნებლათ დაი. ხარკიც დაიდვეს. ვახტანგმა შეუნდო მათ დანაშაული, გაათავისუფლა დატყვევებული ოსები და გამარჯვებული დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

გ. წულუკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვთა ჭკუა-გონება.



ძაღლი-მხლებელი

(თარგმანი).

ვეიცარიაში მოგზაურობის დროს ერთხელ რკინის გზის სადგურზე მისვლა დამიგვიანდა და მატარებელმა გამასწრო. სამი საათი უნდა მეცადნა, სანამ მეორე მატარებელი გამოივლიდა. მე დავეკითხე სადგურზე მეოფთ, თუ როგორ უნდა გამეტარებინა ეს დრო და იმათ მირჩიეს დამეთვალიერებინა „ქვაბი", როგორც საუცხოო მდებარეობის არე-მარე. ამასთანავე თავაზიანათ გამომიცხადეს, რომ თან მხლებელი ვინმე წამეყვანა გზის მაჩვენებლათ და მიმასწავლეს ამ ხელობის კაცზე, ვიღაც ბებერ სვიმონაზე. მე დაუყოვნებლივ მივადექ სვიმონას სახლის კარებს. გამომხედა ერთმა დედა-ბერმა და სანამ მე რასმე ვეტყოდი, თვითონვე დამეკითხა:

— „ქვაბში" გამეოლი ხო არა გნებავთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, მინდა, თუ....

— ჩემი კაცი დღეს შეუძლოთ გახლავთ, ფეხები ტკივა... მაგრამ ნუარო შინ არის, თუ გნებავთ, ის...

— ჩემთვის სულ ერთია, ნუარო იქნება, თუ სხვა ვინმე!

— უნდა იცოდეთ, რომ ნუარო ადამიანი კი არ გახლავთ!

— როგორ თუ ადამიანი არ არის?

— ისე. ნუარო ჩვენი ძაღლია!..

— ძაღლი!?

— დიახ, ძაღლია! რათ გაიკვირვეთ? ის სვიმონაზე ნაკლებ მხლებელობას კი არ გაგიწევთ! რამდენი ხანია ის სვიმონას დასდევს „ქვაბში" და შეჩვეულია ამ ხელობას! მაინც შვენიერი მდებიარეობის გარდა არაფერით შესანიშნავი არ არის „ქვაბი" და ნუაროც კარგათ დაგათვალიერებინებთ, თავისი ეეფეითა და ემუილით, იქაურობას. ამასთან უფრო იაფათაც დაგიჯდებათ: ჩემი ქმარი სამ ფრანკს იღებს და თუ ნუარო გიახლებათ, ერთი ფრანკი ეღირება!. დაუძახო?

— კარგი! მივუბე ეოუმანით.

— ნუარო! ნუარო!... დღეს დილითაც ორ კაცს ახლდა ის იქა! ნუარო!

გამოჩნდა ბანჯგვლიანი შავი ჰატარა ძაღლი, ერთი უბადრუკი შეხედულობისა და დაკვირვებით დამიწეო ცქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, თითქო შემატეო, რომ მეც „ქვაბში“ მოგზაური ვიყავი. ცოტა ხნის მოსაზრებას შემდეგ მე გადავწყვიტე თავი დამენებებინა ამ მოგზაურობისათვის, რომ არ დამგვიანებოდა დაბრუნება.

— ფიქრი ნუ გაქვთ! მითხრა დიასახლისმა! ოთხი საათის მატარებლით არ უნდა წაბრძანდეთ? ნუარო თავის დროზე მიგიყვანთ სადგურზე! აბა, ჩემო ცუგრუმელა, იახელ ამათ ქვაბ-ზე! ქვა-ბ-ზე!—უთხრა პატრონმა გარკვევით და ალერსიანათ თავზე ხელი დაუსვა.

ეტყობოდა, რომ ნუაროს ძალიან კარგათ ესმოდა, რასაც ეუბნებოდენ. რადგანაც იმან გაჯავრებული სახით გადაადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ ისევ მალე შეჩერდა.

— ჰო, მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა! თქვა დიასახლისმა და შინ შებრუნდა: აი, ეს წაიღეთ თან, თორემ უამისოთ ნუარო ფეხს არ გადმოდგამს! მითხრა იმან და მომაწოდა ოთხიოდ ნატეხი შაქარი.

მართლაც, დაინახა თუ არა ჩემ ხელში შაქარი, ნუარო გამხიარულდა, დაიწყო ლაქუცი, წუწკუნი, კუდის ქნევა და დაადგა გზას. მეც გავეევი...

სოფელში გავლის დროს შევხვდით მოიამაშე ბავშვების გროვას. ისინი შემოეხვიენ მაღლს და ეკითხებოდენ:

— ნუარო, ნუარო! ისევ „ქვაბი“-საკენ გასწიე? ახლა ეს ვაჟბატონი მიგეყავს?

— ნუარომ ეურადღების ღირსათ არც კი გახადა ბავშვები;

ის გულგრილათ გარბოდა ჩემ წინ და თან მათვალიერებდა.

მე ძალიან სასაცილო მდგომარეობაში ვხედავდი ჩემ თავს და ფეხს ავუჩქარე, რომ ძალე გავსულვიყავ სოფლიდან.

სულის შემხუთველი სიცხე იყო. ნუარო გარბოდა და ეურსაც არ იბერტყავდა ჩემს ძახილზე.—ნურც აგრე ჩქარა, ნუარო! მოიცა ცოტას ხანს!—ვუყვიროდი მე ხშირათ.

სული ყელში მომდიოდა, მაგრამ ფეხი უნდა გამეჩქარებინა, რომ არ ჩამოვრჩენოდი ჩემ წინამძღოლს. ქანცმიწყვეტილმა ცოტა ხანს ჩავიფერხე, მაგრამ ძალი მომიბრუნდა და მომვარდა ეეფითა და ემუვილით. უნდა გამოგიტყდეთ რომ შეშინებული წამოვხტი და ჯოხს წამოვავლე ხელი. ნუარომ ეყედრებით შემომხედა, გაბრუნდა და ისევ თავის გზას დაადგა. მე დავემორჩილე ჩემ ბედს და ავედევნე ძალს. რამდენსამე წამს შემდეგ შევედით ერთ დაჩრდილულ ჭალაში, სადაც შვენიერათ გრილოდა, და ძლივს თავისუფლათ ამოვისუნთქე; ნუარომ სიარულს მოუკლო, გან-განზე გამომეურებდა და თითქო მეუბნებოდა:

— რაღა უკანა გრჩებოდა ფეხები და იმ სიცხეში ისრაკებოდი! აქ არა ჯობია? არ გეგონოს, რომ შენზე სულელი ვიყვეო!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭალაში ჩამოდიოდა რუ, რომელზედაც ბოგირი იყო გადადებული და ბოგირთან გრძელი სკამი იდგა. ნუარო მივიდა იქ, შეეომხედა თავისი ჭკვიანი თვალებით და გაიშლართა დედამიწაზე. მე მივხდი, რომ აქ ნება მქონდა დასვენებისა; ალბათ ასე იქცეოდა ყველა მგზავრი, ვისაც ის გამოჰყოლია აქეთკენ.

გადავუგდე ნუაროს ერთი ნატეხი შაქარი, რომელიც იმან ჰაერში დაიჭირა და ჩამოვჯექ სკამზე. ნუარო წამოწვა ჩემ ფეხთით და იმ წამსვე ჩაეძინა. ძაგრამ ათ წამს შემდეგ, წამოხტა თოფნაკრავივით, შეეომეყა და დაადგა გზას. იმისი აზრით, ასლა კი საკმაო იყო დასვენება...

მდებიარობა მართლა საუცხოო იყო და არ ვნანობდი იქ წასვლას. ერთ ალაგას ძაღლი გამობრუნდა, გამიყოლია უკან და რამდენსამე ნახტომს შემდეგ გადაუხვია გვერდის ბილიკისაკენ. ჩვენ გავედით ძაღალი ხეებით გარშემოზღუდულ ტრიალ მინდორზე. ვერც კი მოვასწარ კარგათ დამეთვალიერებინა ეს მინდორი, რომ ძაღლი უკანვე გამოიქცა, წინანდელ გზას დაადგა და გაიქცა. მე მივხვდი, რომ ალბათ სვიმონაც აჩვენებდა ხოლმე ამ საუცხოო მინდორს ყველა მგზავრებს და ძაღლმა არც მე დამაგდო იმისი უნახავი.

— ეოჩალ, ნუარო-ძეთქი, შევძახე მე და ძაღლმა სიამოვნების ნიშნათ კუდის ქნება დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ბილიკი ციცაბო კლდეზე ადიოდა და მე ზოგან ძლივს მივბობღავდი, მაგრამ, როგორც გამოცდილებამ დამარწმუნა, უნდა ფეხ-და-ფეხ მივეოლოდი ძაღლს, მეტი გზა არ იყო. ბოლოს მივედით „ქვაბთან". ის წარმოადგენს ამოღრმავებულ კლდეს, რომელშიაც ამოჩუხჩუხებს წყარო. კარგათ რომ დააკვირდები ის ადუღებულ ქვაბს მიემსგავსება. სამაგალითო მომხიბლავი ჰაერი და ცოცხლათ დახატული მდებიარობა.

მახლობლათ დავინახე ორი კარავი, სადაც რძესა ჰყიდდენ უმაწვილი ქალები. დავაპირე მახლობელ კარავთან მისვლა, რძის დასალევათ; მაგრამ შენიშნა თუ არა ეს ჩემი განზრახვა ნუარომ, გამოექანა ჩემკენ, დაიწყო ეეფა, ხტომა და ძალა დამატანა მეორე სარძეეეში შევსულიყავი. მე დავეეევი ძაღლის სურვილს, მიველ მეორესთან და როცა რძე მოვიკითხე, ვნახოთ, ძაღლი სადღაც მიიმალა.

— ნუარო, ნუარო! დავუეეირე მე სასოწარკვეთილების ხმით და დავინახე, რომ ძაღლი ტუჩების ლოკვით სარძეეედან გამოვიდა. ეტეობოდა, რომ ის იქ დიდათ მიღებული და პატივცემული ყოფილა, რადგანაც ჰირეველათ მისთვის მიერთმიათ რძე და მერე ჩემთვის; თუმცა ორივეს წილი რძის ფასი ჩემმა ჯიბემ ზღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთმეტ წუთს შემდეგ ჩვენ უკან მოვდიოდით. რადგანაც გზა კარგათ მახსოვდა, მე დავადექ ნაცნობ ბილიკას. მაგრამ ნუარომ გვერდზე გადაუხვია და მეც მას უნდა გავყოლოდი: იმან ახლა სხვა ახალი გზით წამომიყვანა. წამდა-წამ უკან-უკან იხედებოდა თავისი ჭკვიანი თვალებით, შემომტქეროდა და თითქო ასე მეუბნებოდა:

— შენ ვეგონა იმავე გზით დავბრუნდებოდით, საიდანაც მოვედითო?

მართლაც, ახალი გზა უფრო მარჯვე და საუცხოო მდებიარეობისა იყო. სოფელს რომ მოვატანეთ, შემოგვეხვია იმავე ბავშვების გროვა; მარა ნუარო სადგურისაკენ მიეშურებოდა, იმათი დარდი არა ჰქონდა; ეურადღებასაც არ აქცევდა მოცლილ ბავშვების ყვირილს.

— მე თქვენთვის არა მცალიან! ხო ჰხედავთ, საქმეზე ვადგევარო! თითქო ეუბნებოდა იმათ თავჩაღუნული და თავისთვის მიდიოდა.

როცა სადგურზე მივედით, ნუარომ თვალ-წარბში ცქერა დამიწყო. მე მამაგონდა და მივაწოდე დანარჩენი შაქარი, რომელიც იმან გემრიელათ ჩაახრამუნა.

ძალიან მოხარული და კმაყოფილი დავრჩი ამ გასეირნებითაც, ჩემი მხლებლითაც და სადგურზე თავის დროზე მისვლითაც.

შაქარი რო შეჭამა, ძაღლი გაექანა და სიხარულით მიეგება თავის ბატრონ ქალს, რომელიც ამდროს სადგურზე გამოსულიყო.

მე დიდის სიამოვნებით მივეცი იმას სამი ფრანკი, ე. ი. ის ქირა, რომელიც ორ ფეხა მხლებელზე იყო დაწესებული.

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიოლოგიური წერილები.

წერილი მეშვიდე.

სუნთქვა

უ ჩაუკვირდები, მკითხველო, ყველა ცხოველებს, მალე შენიშნავ ერთ საერთო მოელენას: ყველა მათგანი სუნთქავს და ვერ ნახავ ისეთ ცხოველს, რომელსაც უსუნთქავათ გაძლება შეეძლოს. სული რომ შეიგუბო, კაი უნდა, ორ მინუტს გასძლო, —იმდენათ საჭიროა სუნთქვა ადამიანისათვის. რა'ში მდგომარეობს სუნთქვის მნიშვნელობა? რათ არის სუნთქვა ასე საჭირო ადამიანისათვის? ყოველივე ეს იმდენათ საყურადღებო კითხვებია, რომ არა მგონია, მათი ცოდნა საინტერესო არ იყოს ყველასათვის.

სულ უსწავლელმა ადამიანმაც კი იცის, რომ სუნთქვის დროს პირში და იქიდან სასულეთი ჰაერი ფილტვებში ჩადის; მაგრამ ამოსუნთქვის დროსაც, ხომ ჰაერი ამოდის? ამოდის, მაგრამ ჩასუნთქული ჰაერი სხვა ნაირია, ამოსუნთქული სხვანაირი: ჩასუნთქულ ჰაერში მჟავბადი გაცილებით მეტია, ვიდრე ამოსუნთქულში. ვინ აცლის ჰაერს ამ მჟავბადს? ვინ და სისხლი, რომელიც ფილტვებში მდინარებს. ფილტვი ადამიანს ორი აქვს: მარჯვენა და მარცხენა. ორივე იმყოფება გულის კოლოფში ე. ი. იმ ალაგს, რომელსაც ჰფარავს გულის ფიცარი, გვერდის წკნელები და უკანიდან ხერხემალი. გულის კოლოფში ფილტვებს გარდა მხოლოთ ერთი ორგანოა კიდევ — გული. გული ორივე ფილტვების შუა იმყო-

ფება. ფილტვები ძალიან სუბუქი არიან, რადგანაც ისინი შედგებიან ურიცხვი პატარა ნახვრეტებისაგან, რომლებიც სუნთქვის დროს ჰაერით ივსებიან. სასულედან იწყება ერთი მილი, რომელსაც ხორხი ანუ ყრონტი ჰქვია. მიიდე ორი თითი ყელზე და ნერწყვი გადაყლაპე. მაშინ შენ ხელ ქვეშ ყელში რაღაც აიწევს და ისევ ჩამოეშვება; აი ეს არის ხორხი.

ხორხს უკან არის საყლაპავი მილი, რომლითაც, როგორც უკვე იცი, საჭმელი კუჭში ჩადის. ჩაცილდება თუ არა, ხორხი ყელს, ორ ტოტათ იყოფა; ერთი ტოტი შედის მარჯვენა ფილტვში, მეორე მარცხენაში; ამ ტოტებს ჰქვია ბრონხები. ფილტვებში ბრონხები ურიცხვ წვრილ მილებათ იყოფიან; ამ წვრილი მილების ბოლოებზე არის პატარ-პატარა პარკების გროვა ყურძნის ტევანსავით; აი, ამ პარკებს ჰქვია ნასვრეტები. აქედან აშკარაა, რომ ჩასუნთქული ჰაერი ამ ნასვრეტებში ჩამოდის. ნასვრეტების თხელ კედლებში დახლართულია ურიცხვი წვრილი ვენები, რომლებშიაც მარჯვენა კოჭობიდან წამოსული დაძველებული სისხლი მიმოდის. სისხლის წითელი სორსლები იმგვარი თვისებისა არიან, რომ ჰაერის მჟავბადს იზიდავენ; რადგანაც ნასვრეტების კედლები ძალიან თხელია, ჩასუნთქული ჰაერის მჟავბადი ადვილათ ატანს ამ კედლებში და დაძველებულ სისხლს უერთდება. ამგვარათ სისხლი ახლდება, წამოიღებს მჟავბადს და ფილტვების ოთხი ვენათი ჩამოვა მარცხენა კოჭობში, იქიდან აორტათი და მისი ტოტებით მთელ ტანში დაიფანტება და ტანის ყველა ნაწილებს მჟავბადს დაურიგებს. რა საჭიროა ჩვენთვის მჟავბადი? შენ იცი, რომ უმჟავბადოთ არა დაიწვისრა. ჩვენ ტანში საჭმელი ნელა-ნელა იწვის, იძლევა სითბოს, სამუშაო ძალას და სხვ., მჟავბადი რომ არ მოჰქონდეს სისხლს, ეს ხომ შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენი ტანი, როგორც იცი, შეუჩერებლათ ცვდება და მიღებული საჭმლიდან ივსებს დაკლებულ ნაწილებს; უმჟავბადოთ კი ჩვენი ტანი ამას ვერ მოახერხებდა. კურდღელი ან სხვა რაიმე ცხოველი რომ ჩასვათ დიდ ყუთში ისე, რომ ჰაერი არსაი-

ღან შეიდეს შიგ, და ყუთში მომწყვრეული ჰაერი კი მანქანებით ნელა-ნელა ამოსერიტოთ, კურდღელი ჯერ აშფოთდება, შემდეგ თან-და-თან მოდუნდება, მოეშვება და ბოლოს გულშეწუხებულ ადამიანსავით მძინარს დაემზგავსება; ამის მიზეზი ის არის, რომ თავის ტვინი მუშაობას უკლებს. ახლა ეს ვიკითხოთ, რათ უკლებს თავის ტვინი მუშაობას? ამის გაგება ადვილია: ყუთში ჰაერი ცოტა იყო, ამიტომ კურდღელის ტანსა და ტვინსაც ცოტა მჟავბადი მიუდიოდა, —მაშასადამე თავის ტვინს უმჟავბადოთ მუშაობა არ შეძლებია.

მარტო ამ უკანასკნელი მოვალეობის მეტს რომ არას ასრულებდეს მჟავბადი, ესეც დიდი საქმეა; თავის ტვინი მთელი ტანის გამგეა: შენიცინი, მხიარულებ, ხედავ, გესმის, ლაპარაკობ, ფიქრობ მომავალზე, წარსულს იგონებ, ნატრობ, სწავლობ, —ყოველივე ეს მხოლოთ ერთათ ერთი თავის ტვინის წყალობით ხდება. ტვინს კი ამაში შეელის მჟავბადი, რომელიც არც თვალით დაინახება, არც ხელით გაიშინჯება; ეს მჟავბადიც ტვინთან ერთი ბეწვა წითელ სორსლებს მოაქვსთ! დიახ, ქვეყნიერობაზე პირველ შეხედვაზე ყოველისფერი აუხსნელი საიდუმლოებით არის მოცული, მაგრამ ბევრი უკვე ახსნა და გამოარკვია ადამიანმა, ბევრი მომავალში აიხსნება და, ის რომ არ ვიცოდეთ, რაც უკვე ახსნილია, დიდ სირცხვილათ ჩაგვეთვლება.

როდესაც გავიცანით, თუ რა ყოფილა სუნთქვის მიზანი, ისიც უნდა გავიგოთ, თუ რაობით ჩადის და ამოდის ჰაერი ფილტვებში. როცა ადამიანი სუნთქავს, მაშინ გულის ფიცარი და გვერდის წკნელები ადიან და ჩადიან; მუცელი გამოიწევს და შეიწევს; —ამით გულის კოლოფი განიერდება, ჰაერიც ფილტვებისაკენ მიისწრაფის და ფილტვების ნასვრეტებს ავსებს. როცა გულმკერდი და მუცელი ისევ დაეშვებიან, ფილტვებს მიაწვებიან და ჰაერი ისევ უკან ამოდის.

გულის ფიცარს და გვერდის წკნელებს კუთები ამოძრავებენ

სუნთქვის დროს, კუთებს კი ტვინი ამოქმედებს ნერვების შემწეობით. როგორც შემდეგ გაიგებ, თავის ტვინში შრომა დანაწილებულია; სხვა-და-სხვა ალაგი, სხვა-და-სხვა მოვალეობას ასრულებს: ერთი მხ... ლოთ ხედავს, მეორე ტკივილს გრძნობს, მესამე ლაპარაკობს, განაგებს და სხვ. მეცნიერებმა მიაგნეს თავის ტვინის იმ ალაგს, რომელიც სუნთქვას განაგებს. ტვინის ეს ალაგი რომ წაუხდეს ადამიანს, რაც შედეგათ მოსდევს ხოლმე ზოგიერთ სნეულებას, გულმკერდი გაუჩერდება, სუნთქვა შეუძლებელი გახდება და ადამიანი მყისვე მოკვდება, რადგანაც მას, როგორც სხვა ცხოველებს, უმჭაებადოთ სიცოცხლე არ შეუძლია.

ივ. გომარტელი.



ფგფენური ბუებიც გრძნობენ ჩემს ფსამართლოებას!

(ეძღვნი ზ. უზნაძეს).

ეო და არა იეორა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იეო ერთი დიდებული მეფე. დიდებული მით, რომ შეუბრალებელი სისასტიკით და უსამართლოებით თავის სამეფოს მკვიდრთ თითქმის ანადგურებდა. მისი ერთათ-ერთი სახელის გაგონებაც-კი დიდსა და ჰატარას შიშის ზარს ჰგვრიდა ხოლმე. მეფეს, სხვათა შორის, ერთი ახირებული ჩვეულებაც სჭირდა: როდესაც იგი სანადიროთ წასვლას დააპირებდა, იმდღეს მთელ სამეფოს ნადირობის უფლებას უკრძალავდა.

ერთ დღეს მეფე ნაზირ-ვეზირებითურთ სანადიროთ წაბძანდა. გზაში მონადირე გლეხი შემოხვდა. მეფემ ეს ამბავი იწყინა და ძალიან გაჯავრდა.—„ამ წუთში გლეხს თავი მოჰკვეთეთ!“ გასცა მეფემ ბძანება. შეშინებულმა გლეხმა ხმის კანკალით, თავმდაბლათ და მორიდებით შესთხოვა მეფეს:

—„თქვენო უდიდებულესობავ, ნუ განმირისხდებით, მაპატივეთ დანაშაული და სამაგიეროთ ერთ საიდუმლოს მოგახსენებთ, რომლის მცოდნეს მთელ სამეფოში ვერ იპო-

ვითო". მეფეს მოეწონა გლეხის პასუხი და ბრძანა, მომახსენეო.

—„დიდებულო მეფევ"! განაგრძო გლეხმა: „თქვენ განთქმული მოხადირე ბძანდებით, და უთუოთ ფრინველთა და პირუტყვთა ენის ცოდნა თქვენთვის საჭირო იქნება. ეს საიდუმლო კი მე ზედმიწევნითა მაქვს შესწავლილი."

მეფეს ეს ამბავი მეტათ ესიამოვნა და უბრძანა გლეხს: „მიპატივებია!... მხოლოთ ხვალვე ვეზირს გამოგიგზავნი და ეგ შენი საიდუმლო უნდა შეასწავლოვო." გლეხმა თავმდაბლათ საღამი მისცა მეფეს და შინისაკენ გასწია.

მეორე დღეს მეფემ ვეზირი გლეხთან გაგზავნა. გლეხი დიდის თავაზით დაუხვდა ვეზირს და კარგი მასპინძლობაც გაუწია.

საღილს შემდეგ ვეზირმა გლეხის დაპირების შესახებ ჩამოაგდო ბაასი. გლეხმა გულ-ახდით მოახსენა ვეზირს: „ჩვენი მეფე, სხვათაშორის, სულელიც ეოფილა: აბა რა წარმოსადგენია, ვითომ მე ფრინველთა და პირუტყვთა ენა ვიცოდე. პირობა თუ აღვუთქვი, ეს მისთვის, რომ სიკვდილისთვის თავი დაძელწია".

ვეზირი ჭკვიერი და გონიერი კაცი იყო, ამისათვის გლეხის პასუხი სრულიად არ გაუკვირდა.

ერთ კვირას შემდეგ ვეზირი სასახლეში დაბრუნდა და მეფეს მოახსენა, ფრინველთა და პირუტყვთა ენა ზედ-მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევნით შევისწავლეო. მეფე დიდათ კმაყოფილი დარჩა ამ ამბით და მეორე დღესვე სანადიროთ წაბძანდა, რათა ვეზირის ცოდნა საქმით შეემოწმებია.

გზაში მეფემ დაინახა, რომ ორი ბუ ერთმანეთს გაჭკიოდენ. მეფემ მაშინვე ჰკითხა ვეზირს, ეს ორი ბუ ერთმანეთს რას გაჭკივიანო. ვეზირმა ყური დაუგდო კივილს და შემდეგ შეშინებულის ხმით მოახსენა მეფეს: —„თქვენო უდიდებულესობავ! მოგახსენებთ, მხოლოთ იმ პირობით, თუ სიკვდილით არ დამსჯითო“. მეფემ პირობა აღუთქვა, რის შემდეგაც ვეზირმა მოახსენა: „თქვენო უდიდებულესობავ! ერთი ბუ მეორეს გაჭკივის: ბოდი შენი ქალი ჩემ შვილს შეგრთოთ, თუ მზითევს ბლომათ გამოატანო. მეორე კი უპასუხებს: დიდის სიამოვნებით! მართალია, თუმცა ახლა არა მაქვს რა, მაგრამ იმედია, სულ მალე მექნება: ჩვენი მეფე ისეთი შეუბრალებელი, სასტიკი და უსამართლოა, რომ სულ მოკლე ხანში ნახევარ თავის სამეფოს ამოქლეტს და უპატრონოთ დარჩენილ ავლა-დიდებას, სხვებთან ერთათ, მეც დავეპატრონები და სულ ჩემ ქალს გამოვატანო“.

— უგუნური ბუებიც გრძნობენ ჩემს უსამართლოებას!!!... სევდა დამწველი ოხვრით, ამოიკვნესა მეფემ და მწარე საგონებელს მიეცა.

აელაგიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველებანი ბუნებისა.

№ 18.

მჟაველა *) (Oxalir acetorella)

ეე უნდა გაგაცნოთ დღეს თქვენ ერთი უცნაური მცენარე და, როგორც მოითხოვს ზრდილობა, ჯერ წარძოგიდგენთ მე თქვენ მის გარეგან სანახაობას, მის შეხედულობას. აი, იმისი სკუთარი სურათიც, მისი გამოსახულობა.

ᲛᲟᲐᲕᲔᲚᲐ.

არ გეგონოთ-კი, რომ ეს ერთი უშვილებელი რამ დიდი მცენარე იყოს,—სულაც არა. იშვიათად, რომ როდისმე ორ გოჯ სიმაღლეზე მეტი ტანი აიყაროს. მისი ყვავილიც, რასაკვირველია, მის შესაფერისია, მისებრ ბაწია, თეთრი ან მიმქრალი ვარდის ფერისა. ფოთოლი იონჯასავით სამეურა იცის და თითო ეური ფოთლისა გულსა ჰგავს მოყვანილობით.

*) ეს მცენარე არის საკრთველოში, ხოლო მისი სახელი არ არის დანაძღვიღებით ცნობილი. აქვს თ-დ. რ. ერისთავს თავის ბუნების მეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემო მჟავე აქვს მის ფოთოლს მჟაუნასავით და ამისთვის დაურქმევიათ მეცნიერებს ამ ნებიერი, უსუსური მცენარისათვის ესეთი გრძელი სახელი.

ეველა მის ფოთოლსა და ეკალს გრძელი ეუნწი აქვს და ისე სხედს მიწაში, თითქოს თითო მათგანი თითო ცალკე მირიდან ამოსულაო; მაგრამ თუ ამოაძრობ მას მიწიდან და კარგა დაათვალიერებ, შენ თითონ მიჭვდები ამის მიზეზს. მჟაველას მიწაში აქვს გაშვებული გრძლათ ღერი, ადგილ-ადგილ დაჭდეული და ამ დაჭდეულ ადგილებიდან ამოაქვს სათითაო ფოთოლი. ღერი მუდამ, მიწაში აქვს. ეშინიან, ალბათ, სიცივემ არ დამიძრასო. ისიც კარგა ინახება მიწაში, სმლებს რამდენსამე წელიწადს და ყოველ გაზაფხულზე ამოაქვს ახალი ფოთლები და ახალი ეკალები.

თუ ვიტყვით მის შთამომავლობას, არც ამითია ის გამოსაჩენი; როგორც თვითონ არის ნაძცეცა მცენარე, ესევეა ეველა მისი მონათესავენი.

შესანიშნავია ეს ჰატარა მცენარე თავისი ხასიათით, — მეტის-მეტი წინ-დახედულია ცხოვრებაში. ღამე იმას ისევე ეკვარს შესვენება და ძილი, როგორც ადამიანს: გა-

---

ეველების ლექსიკონში „კურდღლის მჟაუნად", მაგრამ თვითონვე საეჭვოთ მიაჩნია. ჩვენ ვეწოდეთ ჩვენებური სახელი „მჟაკველა" და ვთხოვთ ვინც მიჭვდება ამ მცენარეს, მისის აღწერილობითა და სურათით, მოაწოდოს რედაქციას მისი ნამდვილი ხალხური სახელი. ავტორი.

დიხრის თუ არა მზე და წამოვა ბინდი, მჟაველა აიკრებს ფურცლებს და დაჭსურავს მეორე დილამდე ევავილებსაც და ფოთლებსაც. თუ მეორე დილით, როცა უკვე გაშლილია, ამოვარდა უეცრათ ქარი ან წამოვიდა წვიმა, არ გეგონოთ, რომ მჟაველას წინათვე არ ჰქონდეს დაჭერილი თავდარიგი; ის წინათვე ჰგრძნობს ამისთანა მოვლენას და ადრევე შეუდგება ხოლმე სამზადისს.

ამასთან ძალიან მგრძნობიარეა: რომ ოდნავ დაჰკრა ხელი, ეწუინება საშინლათ და, ნიშნათ უკმაყოფილობისა, დაჰკეტავს იმავე წამს ფოთლებს და ევავილებს.

მჟაველას, როგორცა ჰხედავთ, არ უევარს ლამეები, სწუინს ცემა, ეშინიან ქარისა და წვიმისა და, მაშასადამე, არ ეევარება აგრეთვე ჭექა-ქუხილიც. ეს ასეც არის სწორეთ. ან კი როგორ აიტანს მისი არსება. მოიღრუბლება თუ არა ცა, ვიდრე ელვა და ჭექა ატეხებოდეს, მჟაველა მზათ არის: ის, როგორც ღამ-ღამობით, დაუშვებს ფოთლის ეურებს, აიკრებს ევავილის ფურცლებს და თავს ძილს აძლევს, რომ ეს უსიამოვნო ამბები ძილში გამოიარონს, ვითომ სიზმარი ეოფილა.

ამ გვარათ, როგორცა ხედავთ, ამ ბაწია მცენარეს აქვს თვითნებითი მოძრაობა: როცა ჰსურს, გაიშლის ევავილსა და ფოთოლს, და როცა არა ჰსურავს ერთსაც და მეორესაც.

ლადო აღნიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო გასართობი

№ 8.

Ალე ჰატარა ქალალდი და დახატე ზედ: მარცხნივ ცარიელი გალია, მარჯვნივ—ჰატარა ჩიტუნია. ჩიტსა და გალიას შუა დატოვე ძალიერ მცირე ცარიელი ადგილი, სწორეთ ისე, როგორც ჩვენა გვაქვს აქ, ამ სურათის თავში მარჯვნივ გამოუვანილი.



როგორ მოვახერხოთ ახლა, რომ ეს დახატული ჩიტუნია თავის თავათ წავიდეს გალიაში შესასვლელათ?

იშოვე ერთი საკარბაზო ბარათი*), დააკენე სიგანეზე ჩიტსა და გალიას შუა, დაადე იმ ბარათის ზემოთა კიდეს ცხვირის წვერი და დასცქირე ისე, გალიასაცა და ჩიტსაც. მაშინ თქვენი მარცხენა თვალი დაინახავს მარტო ცარიელ გალიას და მარჯვენა — მარტო ჩიტს. და მცირე ხნის ცქერას შემდეგ შეამჩნევ, რომ ჩიტი ატოკდა, ბოძრაობა იწყო; გალიისკენ მიკინკინებს, თითქო, ეს-ეს არის გალიაში უნდა შესტეს. ბორა.

---

*) შეიძლება საკარბაზო ბარათის მაგიერ ოთხ-კუთხი კარდონის ნაწერი ისმარო.

ურჩი მიუშვი ნებასა

ერდის ერთა, 6 წლის კოლა მეტის მეტი თავნება და ცელქი ბიჭი იო. კარზე ფეხს ვერ გადაადგმევინებდენ, შიშით, თუ დედაც კუდში არ დასდევნებოდა; უთუოთ სახიფათო რასმეს ჩაიდენდა, რომლითაც ან თავის თავს და ან სხვას ვისმეს ავნებდა რასმე. — „თუ ხასიათი არ გამოიცვალე და არ დაჭკვიანდი, იცოდე გარეზვა არ აცდება ჩემგანაო“, ხშირათ ემუქრებოდა მამა მისი. — „შენ შენი დღით არ მოკვდები, შვილო, ან სხვა შეგამთხვევს რასმეს, ან შენ სხვას შეამთხვევ, თუ ჭკვიანათ არ მოიქეცი“, არიგებდა დედა. მაგრამ კოლა და — დარიგება?... ისე იო, როგორც ცერცვი და კედელი; ის თავისას არ იშლიდა!

ერთ ზაფხულის დღეს კოლას მამა სოფლის გარეთ თიბავდა. დადამ, როგორღაც, სადილი შვილს გაატანა მამასთან. კოლას აღდგომა გაუთენდა. ერთი თავისზე მოზრდილი ამხანაგი ბიჭი, ვანკა, აიდევნა და წავიდა. ისეთი ცხელი დღე იო, რომ ბავშები ოფლში ცურავდენ, თუმცა ფესტიშვილა და ჰერანგის ამარა იყვენ, და მალი-

�eli ჩრდილში ისვენებდენ. კოლა ხან სიცხეზე ბუსხუ-
ნებდა, ხან დედაზე—რისთვის გამგზავნაო, ხან მამაზე—
შინ ვეღარ მოვიდოდა, იქ რო არ მიმერთმია სადილიო.
ბოლოს მივიდენ მდინარის ჰირას და კოლამ აქ ახლა
ბანაობაც მომინდომა. ამხანაგი ურჩევდა, ნუ იბანავებო,
მაგრამ კოლა კი იქნებოდა ვისიმე რჩევა და დარიგება
გაეგონა!... კალათი ნაპირას დადგა, იძრო ჰერანგი და
გადაეშვა წყალში. ვანკამ უყურა, უყურა კარგა ხანს, და
„ე მანდ მეც არ შემიტყუილოს წყალმა, როგორღაც ბა-
ნაობის საღერღელი ამეშალაო“,—თქვა და თავის გზას
გაუდგა. მამამ უცადა შვილს, უცადა და ბოლოს იფიქრა:
„ერთი დამთხვეულია, კი არა შეემთხვას რაო“ და მის
საძებნელათ წამოვიდა. წყლის ნაპირას რო მივიდა, ნახა,
რომ კალათში ჩალაგებული სადილი ორ ქოფაკ ძაღლს
გაეყოთ და მადიანათ შეექცეოდენ. კოლა კი... მდინარის
ნაპირას ეგდო გულაღმა, წელამდის წყალში ჩაშვებული.
საჩქაროზე ამოათრია მამამ შვილი, დაუძახა სხვა გლე-
ხებს, დაუწყეს ბავშს ქანაობა, თავდაყირა დაჭკიდეს, დიდ-
ხანს აქანავეს და ბოლოს, როცა ჰირიდან წყალი წამო-
უვიდა, ბავში გონებას მოვიდა, თვალები გაახილა და
ტირილი დაიწყო. ხელში აყვანილი მიიყვანეს ის მინამდის.

დიდხანს იკვნესა ამ ბანაობის შემდეგ კოლამ. ფეხებ-
ში საშინელ ტკივილებსა გრძნობდა და ერთ თვეზე მეტს
სიარული აღარ შეეძლო. ბოლოს ძლივს მორჩა კოლა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერია თავის ტოლ-ამხანაგებში სათამაშოთ და ასე უამბობდა იმათ თავის შემთხვევას: „ჯერ მალიან მიამა ბანაობა, მერე უცებ თვალთ დამიბნელდა; თავი ამტკივდა და წავიქეცი. წუალმა ორჯერ ჩამმირა; მაგრამ შიშმა იმდენი მხნეობა მომცა, რომ ძალა მოვიკრიფე და ძლივს-ძლიობით ნაპირს მივატანე. წულიდან ამოსვლა მაინც ვერ შევძელი და წავიქეცი. ამას შემდეგ აღარ ვიცი რა მოხდაო“...

კიდევ კარგი, რომ დროზე მოუსწრო მამამ, თორემ კოლას წუალი შეითრევდა და დაახრჩობდა.

თეოფ. კანდელაკი.

მეცხვარე და მგელი.

ეგავი.

ეცხვარემ მგელს შუაკაცი მიუგზავნა: — რაც დღემდის მიმტრე-მიმტრე, წარსულს დავივიწყებ; ამას შემდეგ დამიმეგობრდი, ჩემი ფარა მოასვენე და სხვა რაც გეწადოს, ის გადამახდევინეო.

მგელმა მწყემს შეუთვალა:

— დღეში თითო ცხვარი მაძღვენ და ჩემზე უკეთესი მეგობარი ნუღარ გინდაო.

მეცხვარე დათანხმდა და მგელი თავისთან დაიბარა ჰირობის დასადებათ. შედგა თუ არა მგელმა ეზოში ფეხი, მეცხვარემ სტეორცნა თოფი, მგელი იქვე გააგორა ტ თან მიაძახა:

— მტრობის დროს კვირაში მხოლოთ ერთ-ორს მტაცებდი, სამეგობროთ-კი დღეში ერთს თხოულობ; ვხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავ, ჩვენ მეგობრობას ისევ ჩვენი მტრობა ჯობნებია, მტერს კიდევ თოფით დახვედრა უნდაო. ალ. მ—შვილი.

ცისარტყელა და მზე.

(იგავი)

ერთხელ ერთ წვიმა ძალე გადიღო; ცა მოიწმიდა, მზემ გამოაშუქა და ცაზე შვენიერი შვიდ-ფეროვანი ცისარტყელა გადაიჭიმა. ხალხი სიამოვნებით უყურებდა მას.

თავი მოიწონა ცისარტყელამ და აძბობდა: „სწორეთ რომ ძე მზეზე ულამაზესი ვარო“!

მზემ უპასუხა: „მართალია, შვენიერი ხარ, მაგრამ, ნუ დაივიწყებ, რომ შენი სილამაზე ჩემ სხივებზეა დამოკიდებული: უჩემოთ შენი სახსენებელიც არ იქნებოდაო“!

ცისარტყელამ ყურიც არ ათხოვა მზის საუბარს, უფრო და უფრო თავ-მოწონებით ძალლა იწევდა, მედიდურობდა.

უეცრათ მზე ღრუბლებში შეეფარა, და ცაზე ჩვენი ლამაზი ცისარტყელის ნიშანიც აღარ დარჩა.

ალ. ბარნოვი.

ყვავი და ბულბული.

ჩეხური იგავი.

(ნათარგმნი).

რატომ დღითი არა მღერი?— ჰკითხა თვალ-ხარბმა ყვავმა ბულბულს—ხომ არ გეშინია ქვეყნის დაცინვისა?

— არა, უპასუხა ბულბულმა, ქვეყნის დაცინვისა სულაც არ მეშინია. როცა ეოველი ბატი ეიეინებს—ბულბულს ხალისი აღარა აქვს მღერისაო.

ხ ა ლ ხ უ რ ი

(გაგონილი მაია ახობაძის ქალისაგან და ჩაწერილი ლადო იაშვილისაგან).



მ ა რ ი ო ბ ი ს თ ვ ე მოვიდა,
ის უფრო საყვარელია;
ორ კვირას ცხელება იცის —
მაგრამ ეს არაფერია;
თუ ორ კვირას გადასცილდა
აგრილდება ჰაერია...
საფერისცვლობოთ დაიძვრის
ჭური და სარეცხელია;
საყდარში ყურძენს აკურთხებს
ის შემოსილი ღვდელია.
ქვეყნიერობას აკურთხებს
ის წმიდა ღვთისმშობელია...
ხალხი შესჩივის ერთმანეთს:
ღვინო აღარ გვაქვს ძველია!..
მაჭარი დავდგი ახლა ხანს,
მაგრამ ჯერ დაუქნელია;
ვა თუ ყმაწვილებს აწყინოს,
იმისი ნდობა ძნელია.
ყანები გასაწმენდი მაქვს
ვენახი სამარგლელია;
ურემი თუ ავაშენე
ვარდები ქე მაქვს ძველია.
ენკენისთვე მობზიალობს,
გასწითლებია ყელია,
გამსხვილებია კისერი,
როგორც ულაყი ცხენია.
ლეღვებსა კარკათ ძისხია
ქალები მადლიერია,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაზები.

(წარმოდგენილი წუკიასაგან)

უპერანგოს გულზე საკინძს ჰგლეჯდენ.

ბელატი თმებსა ნატრულობს,
მშიერი—ჭადის ჭამასა;
და უსწავლელი შვილი-კი
სიკვდილს ანატრებს მამასა.

გამოცანა.

(წარმოდგენილი მისივე).

თავს დამაყარეს მწვანილი,
ეჭამე და გამოვაფურხე,
ავაგე თეთრი ტაძარი—
არცა კარი აქვს, არც კუთხე.
შიგ ვასვენივარ, თუმც მკვდარი,
არ მტირის ჭირისუფალი;
როს ფრთებს შეეისხამ ჩიტსავით,
მაშინ აღმადგენს უფალი.

სახუმარო.

საშინელი მუქარა

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

ოსტატმა მოსწავლეს გაკვეთილის დაუსწავლელობისათვის ცუდი ნიშნები დაუსვა, კუთხეში დააყენა, უსადილოთ დასტოვა და ბოლოს ორი სილაც გააკრა ლოყაზე. მოსწავლემ მორთო ბუტბუტი და ემუქრებოდა ოსტატს: „დაიცა, რაკი აგრეა, აღარც ხვალ დავისწავლი გაკვეთილს, აღარც ზეგ, არც მაზეგ... და არც არასოდესო.

გულუბრყვილო მუქარა

ერთი ბავში მეტათ შეეჩვია მდინარეს და მუდამ დღე იმაში ბანაობდა. დედა შიშითა ჰქრებოდა, შვილი წყალში არ დამეხრჩოსო და ხშირათ წყეველიდა, სცემდა, ლანძღავდა. ბოლოს ასე დაემუქრა: „შვილო თუ დაიხრჩე იმ წყალში, იცოდე, თვალით აღარ დამენახო, შინ აღარ შემოდგა ფეხი, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი წყვიასაგან.)

პირველი ჰქვიან ყვავილსა;
მეორე — ფრინველთ სახელათ
თუ ერთაო მაღლა დაჰფრინვენ,
ანუ დამსხდარან ტყე ველათ.
ორიეე ერთათ ხელს ამკობს,
ძვირფას ქვათ იწოდებაო;
ერთსა აქვს — ნატრობს მეორე:
ნეტა თუ მელირსებაო?

რებუსი

(წარმოდგენილი სანდრო ციმაკურიძისაგან).



№№ VII & VIII გამოცანებისა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი: 1) ციცინათელა, 2) რწყილი, 3) კაკალი.

ა ნ ა გ რ ა მ ა: გაჯი—ჯაგი.

ს ა მ ა თ ე მ ა ტ ი კ ო გ ა მ ო ც ა ნ ა: მსახურმა იყიდა: 15 ვაშლი, 4 ბროწეული და 1 ფორთოხალი.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ე ბ ი: 1) ირემი, 2) ჭალადიდელი.

შ ა რ ა დ ა: ნოემბერი.

უ ჯ რ ე ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ა:

ჯ	ე	რ	ძ	რ	ო	ხ	ა	ნ	ა
	ხ	ე	დ	ა	ე	რ	ბ	ო
		ი	ს	ე	ი	თ	ხ	
			ო	ვ	ე	ო		

რ ე ბ უ ს ი: 1) ბავში ჭკვიერი, გამგონი მშობლების გულის ვარდია, ერთ გული თავის ქვეყანის სამშობლოს კარგათ არგია. 2) ძაღლი წვეს და კუდი ღრინავს..

რებუსები და სხვა გამოცანები ახსნეს, **თბილისში:** ნიკ. ნიკოლიშვილმა, ნესტ. კერესელიძემ, სახელოსნო სასწ. მოსწ. ლავრ. დავითულიანმა. მესამე გემნ. მოსწ. ელენე ციმაკურიძემ, სათავად. აზნ. სკოლის მოსწავლე დიმიტ. დეკანოზიშვილმა, და გეურქა სარქისოვმა; **გორში:** ვანო ლალიაშვილმა, მიხ. საბაშვილმა, ნიკ. მერაბაშვილმა, დათ. მაჭავარიანმა, გორის დედ. პროგ. მოსწ. ნინა საბაშვილმა და მარიამ მაკალათიამ; სოფ. ალისუბნის სკოლის მოსწ. იპოლ. ცხადაძემ და **ლანჩხუთში:** ივ. ბარამიძემ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთელისა.